ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЗАМОГЗА

6
1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამთაღმცენელი

6

ივნისი

1972

საქართველოს ალკა ცენტრალური
კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის
ნონა კომუნისტთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საზოგადოებრივი
საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის
გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ლენინის ანდერძის სულისკვეთებით ბავშვთა აღზრდაში გაწეული დიდი მუშაობისათვის და შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაცია დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1972 წლის 18 მაისი.

118ЧЧ

ასეთი პიონერული
ი. საუკეთესოების მეჯ-
ა ხმა. პატაკი. პიონე-
ელი მზად ვართ!.. ათა-
ბით ხალხნათელი სა-
ბ... ასეთი იყო იმ მა-
ლდასასოვარ დღეს რეს-
ბლიკის გული ლენი-
ს მოედანი.
პიონერიის ამ დიდ
ესასწაულზე კიდევ
ერთხელ დადასტურდა
ენი ნორჩი თაობის
ალდებულება მომავალი
ლი საქმეებისათვის.

ფოტო შ. გოქაძისა
ა
ა ალგაბასიძისა.

ფოლკა

ქარლო ფაბაშაძე

მხატვარი ედ. ამგოკაძე

მოთხრობა*

კაცია

სამეფლოსთან გლეხებს მოეყარათ თავი, ისხდნენ და ხმამაღლა ბაასობდნენ:

— ჩვენს მეფეს დღეგრძელობა და მხნეობა მისცეს ღმერთმა, — ამბობდა თეთრწვერა მოხუცი, — ცოტა მოვისვენეთ და თვალი ტყისკენ აღარ გვიჭირავს. სულ იმისა გვეშინოდა, თავზე არავინ დაგვეცეს, ცოლ-შვილი არავინ მოგვტაცოს, ტრაპიზონში არ გვიკრან თავიო.

— ეჰ, — ამოიოხრა მეორე მოხუცმა, — ბევრი მწარე დღე გვახსოვს, მარა არც ჩვენ ვიყავით გულხელდაკრეფილნი.

— ის როგორ იყო, გაიოზ ბიძია, მექორწილე მიქელაძეებს გზაში თათრები რომ შემოხვდნენ? — ჰკითხა ახალგაზრდა გლეხმა კოწიამ ცოტა ხნით გარეთ გამოსულ მეფეს და თვალები შეანათა.

გაიოზმა გაიღიმა, თანასოფლელებს თვალი მოავლო და დაიწყო:

— ქორწილიდან ბრუნდებოდნენ თურმე მიქელაძეები, სულ დარჩეული ტალიკ-ტალიკი ბიჭები. სიმღერით მიაგელვებდნენ ცხენებს, ჯიხაიშს რომ გასცდნენ, წინ თათრები შემოეყარათ, შესყიდული ტყვეები მიჰყავდათ ფოთის ციხეში იმ ურჯულოებს.

— აი, დედასა! — ამოიგმინა თეთრწვერა მოხუცმა.

— საშინელი სანახავები იყვნენ თურმე ის ბედშავები, ხელშეკრულები, თოკით ერთმანეთზე გადაბმულები, ზოგი ურემზეც იყო მიბმული. ქალები აღნავლებულ ბავშვებს იკრავდნენ მკერდში, თვითონაც ჰგოდებდნენ, ბედს იწყევლიდნენ და სახეს იხოკავდნენ... ჰოდა გადაავლეს თვალი მიქელაძეებმა იმ საცოდავებს და გული ბოლომდე ამოიტანეს. [illegible] თანა ყოფას სიკვდილი სჯობსო, თქვეს ერთხმად და [illegible] ვლეს ხმლები...

კოწიას სახე გაუბრწყინდა, გვერდით მდგომ ბიჭებს გადახედა და ხანჯლის ვადას მოუჭირა ხელი, გაიოზი კი განაგრძობდა:

— დაერივნენ იმ ურჯულოებს, სულ ღდინი გააძვრეს...

უეცრად თქარათქური მოისმა. გლეხებმა ჯერ ყური მიუგდეს, მერე წამოცვივდნენ და შარაგზას გახედეს. მალე გზაზე მხედარი გამოჩნდა, იგი უბელო ცხენს მოაჭენებდა, უკან კი რემა მოსდევდა. გლეხებმა ერთმანეთს გადახედეს ცოტაც და მხედარი სოფლის მოედანზე შემოიჭრა. ყველამ იცნო მანუჩარი. კოწია წინ გადაეღობა ცხენს. რემა ღობეს მიაწყდა, აფრუტუნდნენ და აბორგდნენ ცხენები.

— ოსმალო, ოსმალო შემოგვესია! — შესძახა მანუჩარმა და ხელი უბეში ჩაიყო.

გაიოზ მეჭედელი მხედართან მიიჭრა: ეს რა სთქვი, ეს რა ამბავი მოგვიტანეო!

მას სხვებიც შემოეხვივნენ.

მანუჩარმა უბიდან გასისხლიანებული წიგნი ამოიღო, მაღლა ასწია და ყველას ოხვრა და გმინვა აღმოხდა.

— ღვთისმშობლის ეკლესია დაარბიეს, — დაიწყო მანუჩარმა, — ბერი ონოფრე მოკლეს, ახლა აქეთ მოდიან. სამასამდე იქნებიან. ჩხერის ციხის ჩუმად აღება განუზრახავთ. ბაბუაჩემი მიუძღვით წინ, გზას აუბნევს მათ და აქ მოიყვანს. უნდა გავაფრთხილოთ მეციხოვნეებიც.

— ხალხნო, — დაიქუხა გაიოზ მეჭედელმა, — დრო აღარ ითმენს. ახლომახლო სოფლები შევყაროთ. აბა, ჩქარა! შენ, კოწია, მეციხოვნეებს შეატყობინე, თქვენ კი — მიუბრუნდა იქვე მდგომ ბიჭებს, — ბატონთან აირბინეთ!

გლეხებმა სოფელს მიაშურეს მეზობლების შესაყრელად, კოწიამ და მანუჩარმა კი ცხენებით ჩხერის ციხისაკენ გაქუსლეს.

გლეხებმა აისხეს იარაღი, ვისაც რა ჰქონდა: ზოგმა ხმალი, ზოგმა შუბი, მშვილდ-ისარი, შურდული, ჰოროლი, ნაჯახი და სარეგველა. ვინც უფრო შეძლებული იყო და ბრძოლებში ნაცადი, თოფით შეიარაღდა.

ცოტა ხანში სოფლის მოედანზე ასორმოცდაათამდე შეიარაღებულმა კაცმა მოიყარა თავი. ჩხერის ციხიდანაც მალე დაბრუნდნენ კოწია და მანუჩარი. მეციხოვნეებმა, ციხეს ვერ მივატოვებთ აქედან დაგეხმარებითო. არ ჩანდნენ თავად აბაშიძესთან გაგზავნილი ბიჭები. შორიდან კი უკვე ისმოდა ფლოქვების თქარუნი.

— აი, ამ ლოდებს ამოვეფაროთ! — იყვირა გაიოზ მეჭედელმა, — ახლოს მოვუშვათ. ნიშანს დაელოდეთ. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

ყველანი მიმოიფანტნენ, ჩასაფრდნენ, თოფები და მშვილდ-ისრები მოიმარჯვეს, ბევრმა ქვა და ლოდი მოიმარაგა. მანუჩარი გაიოზ მეჭედელს ამოუდგა გვერდით, აქვე ჩასაფრდა კოწიაც. მანუჩარს ერთი სული ჰქონდა როდის გაათავისუფლებდა კაცია ბაბუას, როდის შეხსნიდა კისერზე თოკს, როდის იხსნიდა დამცირებისაგან. სატევრის ვადას ხელს არ უშვებდა.

მალე საურმე გზაზე კაცია გამოჩნდა. თოკშებმული მოუძღვებოდა მხედარს, რომელსაც ოსმალოთა რაზმი მოჰყვებოდა. ლოდებს ამოფარებული გლეხები გაირინდნენ, მტერთან შებმის მოლოდინში სული კბილით ეჭირათ. იარაღს ხელს უჭერდნენ და სიბრაზისაგან ტუჩებს იკვნეტდნენ. მოულოდნელად ოსმალოები შეჩერდნენ, ქართველმა ასისთავმა კაციასთან მიაგდო ცხენი და დაუღრიალა:

— აქ სად მოგვიყვანე, შე ბებერო ტურავ!

— ცოტაც, ბატონო, და ციხისაკენ მიმავალ გზას დავადგებით. — მიუგო კაციამ და მიიხედ-მოიხედა.

* დასასრული. იხ. „პიონერი“ № 4, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დავიწყოთ, ვაიოზ ბიძია! — გადაუჩურჩულა მანუჩარმა გასუსულ მჭედელს.

— ჯერ არა, შვილო, იქნებ ცოტა მოგვიახლოვდნენ.

კაციამ ჩახერგილი ლოდებისაკენ გაიშვირა ხელი: აი, იქ უნდა გავიაროთ, მდინარეს გადავტოპავთ და ჩხერის აღმართსაც შევუყვებითო.

ოსმალო ასისთავები, თითქოს რაღაცა იგრძნესო, გვერდზე გადგნენ და ერთხანს ითათბირეს, მერე რაზმს უბრძანეს, გაშლილიყო და ლოდებისაკენ დაიძრნენ. კაცია კვლავ წინ გაიგდეს. ფრთხილად მიდიოდნენ, აქეთ-იქით გაფაციცებით იხედებოდნენ. მყუდროება გაიოზ მჭედლის თოფის გრიალმა დაარღვია. მას ოცდაათამდე თოფი გამოეხმაურა. დასჭყივლეს ჩასაფრებულებმა და შურდულები, ჰოროლები სტყორცნეს. ჩხერის ციხიდან ზარბაზნებმა დაიგრიალა. ახმიანდა სოფლის ეკლესიის ზარი. დაიფრუტუნეს დამფრთხალმა ცხენებმა. ტყვიამ მიზანს უწია, იმ ოსმალო მხედარმა, კაცია რომ მოჰყავდა, შეჰყვირა და უნაგირს გადმოეკიდა. კაციამ მოასწრო, კისერზე გამობმულ თოკს ხელები ჩასჭიდა, თავი შეიმაგრა. მხედარმა კი ძირს მოადინა ზღართანი. ოსმალოები აირივნენ, მაგრამ გონს მალე მოეგნენ და ჩასაფრებულებს შეუტიეს. კვლავ დაიქუხა თოფებმა, აზუზუნდა გატყორცნილი ქვები.

კაციამ სწრაფად შეიხსნა თოკი და ის იყო თავისიანებისაკენ უნდა გაქცეულიყო, რომ მასთან თავპირგასისხლიანებულმა ოსმალო ასისთავმა მოაგდო ცხენი, შეუყვირა და ხმალი მოუქნია.

— ბაბუა, ბაბუა! — შეჰკივლა მანუჩარმა, რომელიც ამ ამბავს თვალს ადევნებდა, საფრიდან გამოვარდა და თავქვე დაეშვა...

მანუჩარს ყვირილითა და ყიჟინით დაედევნენ ჩასაფრებულები. კვლავ დაიგრიალეს ზარბაზნებმა. ანაზდად, ხარაგოულიდან მომავალ გზაზე ხმალამოწვდილი მხედრები გამოჩნდნენ, აზნაურები იყვნენ, თავადის კაცები. ოსმალომ პირი იბრუნა და თავს უშველა. ცხენოსნები მათ დაედევნენ.

მანუჩარმა სულთმობრძავ ბაბუასთან მიირბინა. კაციამ თვალი გაახილა და შვილიშვილს მიაჩერდა. მანუჩარმა თავქვეშ ამოუდო მარჯვენა და გადაჩეხილ მხარზე ხელი მოუსვა. მოხუცმა დაიკვნესა და თვალები დახუჭა.

— ბაბუა, ჩემო საყვარელო ბაბუა! — მანუჩარს ცრემლი ღაპაღუპით ჩამოუგორდა.

კაციამ კვლავ გაახილა თვალი. მანუჩარი დაიხარა, ლოყა ლოყაზე მიადო. ასე იყვნენ ერთხანს. ბოლოს მოხუცმა კვნესით წარმოთქვა:

— მისმინე, შვილო, მე დიდხანს სიცოცხლე აღარ მიწერია, ერთ რამესა გთხოვ, ნუ უღალატებ საქმეს... ჩვენს დიდ მეფეს სოლომონს ეახლე...

მოხუცს ხმა ჩაუწყდა, მისუსტდა, მოეშვა და სული განუტევა.

მანუჩარი ხმამაღლა აქვითინდა. თავზე გაიოზ მჭედელი, კოწია და თეთრწვერა მოხუცი ადგნენ... მალე სხვა გლეხებმაც მათ გარშემო მოიყარეს თავი. იდგნენ ქუდმოხდილები, მდუმარენი.

უცბად, სოფლის მოედნიდან დაფდაფის ხმა გაისმა — თავად აბაშიძის კაცები სოფლელებს უხმობდნენ. ყველანი მოედნისაკენ გაეშურნენ. კაცია ბაბუას გვამიც იქ წაასვენეს.

— ისმინეთ ხალხნო, თავად გიორგი აბაშიძის, ჩვენი ბატონის ბრძანება: — ყვიროდა გზირი, — აზნაურთაგან, ყველა, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, ყმების ოჯახებიდან კი თითო კაცი მეახლოს ლაშქარში, თან იქონიოს საგზალი...

გზირს ყვირილი დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ ლეღვან — მარელისიდან მომავალ გზაზე გუდააკრული გლეხები გამოჩნდნენ: ურჯულოთა დიდი ლაშქარი მოედო ჩვენს სოფლებს, ჩეხავენ ვენახებს და ბაღებს, წვავენ სახლებს. ქვეყანას ავერანებენ, აოხრებენო, — ჰყვებოდნენ

თავი მეოთხე

აცრემლებული, გულმოსული ბაადური ბურდღუნით გაიქცა სახერხისაკენ და მორზე ჩამოჯდა.

— მოდი, ბიჭო, შინ დავბრუნდეთ! — დაუყვირა დედამ.

— არ წამოვალ, არა! — უპასუხა ბაადურმა ჯიუტად.

სოფლის მოედანზე ვინც კი იყო, ყველა დედა-შვილს მისჩერებოდა, ზოგი დედას ქირდავდა, ზოგიც ბიჭს ამტყუნებდა.

სახერხთან ვაჟაც მოვიდა. ის ბაადურის კბილა გახლდათ და ამ ამბავს ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა.

— ნუ მომჭერი ხალხში თავი, — ყვიროდა დედა, — ჩქარა წამოდი, თორემ...

— არა, არა! — უფრო მეტად გაჯიქდა ბაადური.

— მიტო! — დაუძახა დედამ შოფერს, — დაიჭირე და აქ მოიყვანე!

შოფერი შეცბა, ბაადურისაკენ წელმოწყვეტილი წავიდა, წყნარად სთხოვა:

— მოდი ბაადურ, გეყოფა, თბილისში წავიდეთ.

— არა, არა! — დაიყვირა ბაადურმა და გაქცევა დაიპირა, მაგრამ უცებ შეჩერდა, — მორთან დაგდებული თეთრი რაღაც შენიშნა. დაიხარა, აიღო და გაოცებულს აღმოხდა:

— ეს ხომ ლეოს ქაღალდებია, აქ როგორ გაჩნდა?!

შოფერიც შეჩერდა. ბაადურმა ახლა მას მიაპყრო თვალი და უთხრა:

— მიტო ბიძია, ლეოს სახატავი ქაღალდები დაჰკარგვია!

შოფერი მიუახლოვდა, აკვარელით სახატავი ქაღალდების დასტა შეათვალიერა და ბაადურს შეხედა, მერე მე რა ვქნაო.

— ამ ქაღალდებზე უნდოდა ჩაეხატა ჩხერის ციხე. — ბაადურმა ციხისაკენ გაიხედა და დასძინა: — ჯერ ისევ ახლოს იქნებიან, დავედევნები და მივცემ.

— არა, — შოფერმა ხელი სტაცა გასაქცევად გამზადებულ ბაადურს, — დედაშენი გადაირევა!

— ერთი წუთით, მიტო ბიძია, ამას მივურბენინებ და მერე ნამდვილად წამოვალ, — დაეღრიჯა ბაადური.

შოფერმა ქაღალდების დასტა ერთხელ კიდევ შეათვალიერა. მერე ბაადურს გაუწოდა და უთხრა:

— კარგი, ოღონდ ჩქარა!

ბაადური ბაჯბაჯით გაიქცა შარაგზისაკენ. მიტომ თვალი გააყოლა. მერე უკან მოიხედა. ოღღა ერთხანს გახევებული იდგა, მერე კი, როცა შვილი შარაგზაზე გავიდა, დაუკივლა, სად გარბიხარო, მაგრამ ბაადურს ყურადღება აღარ მიუქცევია, ვაჟა კი მორს გადაახტა და ბაადურს კისრისტეხით გამოუდგა.

ბაადური მდინარეზე გაბმულ ბონდთან შეჩერდა. გული აუფანცქალდა, ბონდქვეშ ქაფმოდებული მორევი ტრიალებდა. ბაადურმა ხელი მაგრად ჩასჭიდა ბაგირს და ფეხი ფიცარნაგზე შედგა. ამასობაში ვაჟა წამოეწია, ბონდზე მკვირცხლად შევარდა და წინ დაუდგა. ერთხანს ღიმილით მისჩერებოდა ბაადურს, მერე ჰკითხა:

— ხომ არ გეშინია? აი, ნახე! — ვაჟა ახტა-დახტა და ბონდი გააქან-გამოაქანა.

ბაადური უფრო მაგრად ჩაეჭიდა ბაგირს, მერე უცნობ ბიჭს შეხედა და უთხრა:

— ეს სახატავი ქაღალდები არ მინდა ჩამიცვივდეს წყალში, თორემ...

ვაჟა გაჩერდა, ბაგირს ხელი წაატანა, შეეცადა ხიდის რყევა შეეჩერებინა, მერე ბაადურს ხელი გაუწოდა და უთხრა:

— მოიტა, მე გავიტან!

ბაადური შეყოყმანდა, მაგრამ ქაღალდები მაინც გაუწოდა. ვაჟამ ჩამოართვა და გულდასმით შეათვალიერა, თან წინ წავიდა. ბაადური ფეხებგაჩაჩხული მიჰყვა, ხელს არ უშვებდა ბაგირს.

— ასეთი სახატავი ქაღალდები ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, — თქვა ვაჟამ, გაღმა რომ გავიდა.

— გერმანულია, — მიუგო ბაადურმა და ქაღალდების დასტა ჩამოართვა. — ჩემი მეგობრისაა, მხატვარია.

— ნამდვილი მხატვარი? — ჰკითხა ვაჟამ. — ნამდვილი მხატვარიც არ მინახავს არასდროს!

— თქვენს რაიონში მხატვარი არ არის?! — გაუკვირდა ბაადურს.

— როგორ არა, არის ერთი მხატვარი, აფიშებს, პლაკატებს და რაღაც-რაღაცებს ხატავს. მაგრამ, ამბობენ, ნამდვილი მხატვარი არ არისო.

— ჩემი მეგობარი ნამდვილი მხატვარია, დრეზდენის გამოფენაზე პრემია აქვს მიღებული...

ვაჟამ თვალები დააჭყიტა:

— მე ვიცი ვინც არის, ლეო მელქაძე.

შენ რა იცი? — გაუკვირდა ბაადურს.

— ჟურნალ „პიონერში" წავიკითხე. ქალიშვილის პორტრეტი ჰქონდა დახატული — „თამრიკო".

— ჰო, ის თამრიკოც აქ არის! — გაუნათდა სახე ბაადურს, — მათ მინდა დავეწიო, ეს ქაღალდები უნდა გადავცე.

ვაჟამ ჩხერის ციხეს ახედა, მერე ბაადურს მიუბრუნდა და მეგობრულად უთხრა:

— მე ვიცი მოკლე გზა, მათ ავასწრებთ ციხეზე. წავიდეთ!

— არა, — გააგრძელა სიტყვა ბაადურმა და უკან, სოფლის მოედანს გახედა, უნდოდა ეთქვა, დედა მელოდებაო, მაგრამ ესა თქვა: — უკან უნდა დავბრუნდე.

— რას ამბობ, რისა გეშინია! ამ აღმართს ავირბენთ და შენს მეგობრებს იქ დავხვდებით.

— რა სეირი იქნება!? — ჭკუაში დაუჯდა ბაადურს.

— მაშ, წავიდეთ! — შესძახა ვაჟამ.

ბაადური შეყოყმანდა, მერე ხელი ჩაიქნია და თქვა:

— ჯანი გავარდეს, რაც იქნება, იქნება, წავიდეთ!

ბიჭები აღმართს შეუყვნენ, მალე სოფელი გამოჩნდა. ბაადური ფრთხილად და მძიმედ მიაბიჯებდა, იღლიაში ქაღალდების დასტა ჰქონდა ამოჩრილი. ხშირად წონასწორობას ვერ იცავდა და ფეხი უცდებოდა, წაიფორხილებდა ხოლმე. ვაჟა ხან წინ გარბოდა, ხანაც უკან რჩებოდა. ბაადურს ამხნევებდა, ნუ გეშინია, თანდათან მიეჩვევიო. უნდოდა ეთქვა, მომეცი, მაგ ქაღალდებს მე წამოვიღებო, მაგრამ ერიდებოდა, რა ვიცი, იქნებ არც მენდოსო. ბოლოს, ბაადურმა კიდევ რომ წაიბორძიკა, ვაჟამ ვეღარ მოითმინა და უთხრა:

— მომეცი ქაღალდები, მე წამოვიღებ!

ბაადური შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა, ქაღალდი ყოყმანით გაუწოდა და გააფრთხილა:

— ხელიდან არ გაგივარდეს, თორემ დაისვრება და აღარ ივარგებს!

— ნუ გეშინია, — უპასუხა ვაჟამ, ქაღალდების დასტა ჩამოართვა, ხარბად დახედა, ხელი სათუთად გადაუსვა, მერე ჩაფიქრდა და ხმადაბლა დასძინა: — იცი, მეც ვხატავ.

— ხატავ? — გაუკვირდა ბაადურს, — რასა ხატავ?

— სკოლაში ყველაფერს მე მაფორმებინებენ, ოღონდ ეს არის, კარგი ფუნჯები და საღებავები არა მაქვს, არც ასეთ ქაღალდს მაღირსებს ვინმე...

ბაადურმა ისევ წაიფორხილა, მერე სწრაფად გასწორდა და გაბრაზებულმა ჩაიბურდღუნა:

— ფუი, რა საშინელი გზაა!

— ზევით და ზევით უფრო გაუარესდება, — მიუგო ვაჟამ, ვითომც აქ არაფერიო. — გადაღმა ერთი სოფელია, იმ სოფელში თამარ მეფის დროინდელი ეკლესიაა...

— თამარ მეფის დროინდელი? — შეიცხადა ბაადურმა და ღრმად ამოისუნთქა.

— ნამდვილად, იმხელა ქვებითაა ნაგები. — ვაჟაც შეჩერდა და ხელებით მოხაზა, ამხელაო. — შიგნიდან ეკლესია თეთრად იყო შეფეთქილი, ამას წინათ სახურავიდან წვიმა ჩავიდა, თეთრი საღებავი ჩამოაშორა და საოცრება მოხდა — მთლიანად მოხატული აღმოჩნდა ეკლესია.

— ფრესკები გამოჩნდა?! — გაუბრწყინდა თვალები ბაადურს.

— ჰო, სულ წმინდანებით არის მოხატული კედლები, ზოგი დგას, ზოგი ჩამუხლულია, ერთი თეთრ ცხენზეა ამხედრებული, მეორეს ხელში ეკლესია უჭირავს; ზოგი, გეგონება, ტირისო. ერთ კედელზე კი მგონი მთელი ოჯახია დახატული. წარწერებიც არის, მაგრამ მე ვერ წავიკითხე...

— ხუცური იქნება! — თქვა ყველაფრის მცოდნესავით ბაადურმა.

— შენ იცი წაკითხვა? — გაუხარდა ვაჟას.

— მე... — დაიბნა ბაადური, არ უნდოდა თავის დამცირება, ვერც ტყუილი მოახერხა: — არა, მაგრამ...

— იცი რა, მე ორი კედელი მაქვს ჩახატული, თავისი წარწერებით, ახლავე მოვიტან, შინა მაქვს! — ვაჟამ ხელი ოდისაკენ გაიშვირა, მერე შეტრიალდა და მოქუსლა, თან გაიძახოდა: — ახლავე მოვალ, ახლავე!

სახტად დარჩენილი ბაადური ერთხანს ვაჟას უყურებდა, აჩალულ სიმინდის ყანაში კისრისტეხით რომ გარბოდა. მერე ქვაზე ჩამოჯდა. მოულოდნელად მოტორის ხმა გაისმა. ბაადურმა ზევით აიხედა, შვეულმფრენი იყო, ჩხერის ციხეს თავზე გადაუფრინა და მთებს იქით გაუჩინარდა. ბაადურმა ამოიოხრა, ნეტა ჩემს განკარგულებაში იყოს ახლა ეს შვეულმფრენი, უკვე ასული ვიქნებოდი, დედასაც ამოვიყვანდიო. დედის გახსენებაზე შეკრთა, წამოხტა, ქვევით გაიხედა, იქნებ სოფლის მოედანი დავინახოო, მაგრამ მას დიდი ბორცვი ეფარებოდა. ბაადურს გუნება გაუფუჭდა, ნეტა არ წამოვსულიყავიო. ადგილს ვეღარ პოულობდა. ამასობაში ვაჟამ მოირბინა, ბაადურის წინ აქლოშინებული შეჩერდა და დახვეული ქაღალდი გაუწოდა, აი, ნახეო.

ბაადურმა გულგრილად დახედა ნახატს, მერე ვაჟას მიუბრუნდა:

— თუ მივდივართ, ვიჩქაროთ!

ვაჟას არ ესიამოვნა ბაადურის გულგრილობა, მერე გულდაწყვეტილმა ნახატი დაასვია, უბეში ჩაიდო და უხმოდ გაუდგა გზას. ბაადური უკან აედევნა. ერთხანს საცალფეხო გზით მიდიოდნენ, მერე ბილიკიდან გადაუხვიეს და აღმართს აჰყვნენ. ბაადური ბუჩქებს ეპოტინებოდა, ფეხქვეშ მიწა ეშლებოდა, ქვები ხრიალით გარბოდნენ ქვევით. დაიღალა, გაიხვითქა. უნდოდა ეყვირა, მეტი აღარ შემიძლიაო, მაგრამ გრძნობდა, რომ მისი მეგზური განაწყენებული იყო და ამიტომ ხმას არ იღებდა. მალე ისევ ბილიკზე გავიდნენ და მორაკრაკე წყაროს მიადგნენ. ვაჟამ ღარს პეშვი შეუშვირა და წყალს დაეწაფა. ბაადური გაკვირვებული მისჩერებოდა ვაჟამ ერთი პეშვი წყალი სახეზეც რომ შეისხა და თქვა, რა კარგი ხარ დალოცვილოო, უთხრა:

— როგორ შეიძლება დაღლილ გულზე წყლის დალევა?!

— რაო? — გაიცინა ვაჟამ. — რამდენჯერ დამილევია. რატომა ხარ ასეთი მშიშარა?

— ვინ არის მშიშარა! — იწყინა ბაადურმა.

— თუ არა ხარ, მიდი, დალიე!

— არ მინდა და... — თქვა ბაადურმა, თუმცა პირი უშრებოდა წყურვილით.

— გეშინია და იმიტომ ამბობ მაგას! — დაიჟინა ვაჟამ.

— ვისა, მე?! — ბაადურმა დამცინავად გაიღიმა, ღართან მივიდა, დაიხარა, პეშვი აავსო და მოსვა.

ვაჟამ გაიცინა:

— ვაჟკაცურად დალიე, რა ნაზად სვამ, პატარძალივით!

ბაადური წყალს დაეწაფა, მერე სახეზეც შეისხა, გამოცოცხლდა, ამოიხვნეშა და თქვა:

— წავიდეთ, თორემ აგვასწრებენ!

— ახლა ცოტა დავისვენოთ, — ვაჟა ქვაზე ჩამოჯდა. — გატყობ, დაიღალე, არ შეგიძლია სიარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ დავღლილვარ, წავიდეთ!

ვაჟამ გადაიხარხარა, მერე ბაადური შეათვალიერა და ჰკითხა:

— რამ გაგასუქა ასე, ალბათ სულ ნამცხვარს და ტკბილეულობას მიირთმევ, ან ნახევარჯერ გძინავს.

ბაადური გაწითლდა, უხერხულად შეიშმუშნა, აღარ იცოდა რა ეთქვა. ვაჟა კი განაგრძობდა:

— ნეტა აქ, სოფელში ცხოვრობდე. სულ აღმა-დაღმა გარბენინებ. ორ კვირაში ისე გაგხდი, ვეღარავინ გიცნოს.

გადაღმა ფერდობიდან ჟივილ-ხივილი შემოესმათ. გაირინდნენ, ყური მიუგდეს, მერე ერთმანეთს შეხედეს.

— ვაიმე! — შესძახა ბაადურმა, — დაგვიგვიანდა!

— ნუ გეშინია. ჩვენ, აი, ამ მოკლე გზით ავალთ, მომყევი! — ვაჟა ბუჩქებს შეერია.

ახლა შედარებით მსუბუქად მიდიოდა ბაადური. ბუჩქებს ავლებდა ხელს. ერთი-ორჯერ ეკალიც შეერჭო, მაგრამ ხმა არ გაუღია, მთავარი ის იყო, მეგობრებისთვის აესწრო ციხეზე.

— იცი რა, — მობრუნდა წუთით ვაჟა, — ბევრს თუ ივარჯიშებ, ეგ ქონები კუნთებად გადაგექცევა!

— შენ გგონია, არ ვვარჯიშობ?! — უთხრა გულდაწყვეტით ბაადურმა და ხმადაბლა დაუმატა: — მეკარე ვარ.

— მეკარე?

— ჰო, ჩვენს გუნდში ვთამაშობ.

ბილიკი კლდეს მიადგა. ვაჟა სწრაფად ახტა და კლდეს თავზე მოექცა. ბაადური შეჩერდა. ქვევით ციცაბო ხრამი იყო, ზევით კლდეზე კი, მისი მეგზური იდგა და ელოდებოდა. „არა, ვერაფრით ვერ გავალ, — გაიფიქრა ბაადურმა, ისევ აქ დაველოდები ამხანაგებს".

— მოდიხარ? — ჩამოსძახა ვაჟამ, მაგრამ მიხვდა, რაშიც იყო საქმე, უკან დაბრუნდა და ბაადურს უთხრა: — მომეცი ხელი.

ბაადურმა აკანკალებული ხელი ჩასჭიდა და ფეხი ფრთხილად გადადგა. ასე ხელიხელჩაკიდებულები მიიწევდნენ ზევით.

— აქ ძნელი სულაც არ არის ასვლა, — ამხნევებდა ვაჟა ქალაქელ ამხანაგს, — ოღონდ არ უნდა გეშინოდეს!

●

მოლაშქრეები სიმღერით მიადგნენ ციხეს. პიონერხელმძღვანელი პირველი შევიდა ერთი ხელისდადება მოედანზე, მას სოსო, ბექა და დუხუნა მიჰყვნენ. უცებ, ლეილა მასწავლებელი შემკრთალი შეჩერდა და ციხის ქონგურებს მიაპყრო თვალი. შეჩერდნენ ბიჭებიც.

— ბაადური! — აღმოხდა ბექას.

— აქ საიდან გაჩნდა?!— გაუკვირდა დუხუნას.

სოსოც გახევებული იდგა.

ციხის ქონგურებს შორის, წელზემოთ შიშვლები, ფეხმორთხმულები, გულზე ხელებგადაჯვარედინებულები ისხდნენ ბაადური და ვაჟა. გარინდულები ქანდაკებებს მიაგავდნენ. ოღონდ ეს იყო, ბაადური ბამბასავით თეთრად გამოიყურებოდა, ვაჟა კი ბრინჯაოსფრად ლაპლაპებდა.

— ნუთუ ეს ბაადურია? — იკითხა პიონერხელმძღვანელმა.

— ბაადურია, მასწ., ბაადური! — იყვირა დუხუნამ და ფოტოაპარატი მოიმარჯვა.

ამასობაში დანარჩენებიც ამოვიდნენ მოედანზე. ყველა გაოცებული იყო, მეგობრები კარგად ხედავდნენ, რომ ბაადური იყო, მაგრამ როგორ, რა მანქანებით ამოვიდა მათზე ადრე, ეს უკვირდა ყველას. ზაურმა კინოაპარატი აამუშავა.

ბაადური და ვაჟა კვლავ დუმდნენ და ზეცას გასცქეროდნენ.

— ჩემი ქაღალდები! — იყვირა ლეომ და ციხეში შესასვლელისაკენ გაიქცა.

ყველამ იქით გაიხედა. დიდ ლოდზე მიყუდებულიყო სახატავი ქაღალდების დასტა. ლეომ მიირბინა, ქაღალდები აიღო, შეათვალიერა, მერე ბაადურისაკენ გაიხედა და ჰკითხა:

— სად იპოვნე, ბაადურ?

ბაადურს ხმა არ გაუღია, კვლავ ქანდაკივით იჯდა და სივრცეს გასცქეროდა.

— ესენი ნამდვილად მოჩვენებანი არიან, აი ნახეთ! — სოსო დაიხარა და მოზრდილი ქვა აიღო.

— არ ესროლო! — შეჰყვირეს თამრიკომ და მზიამ ერთხმად.

უეცრად „ქანდაკებები" შეირხნენ და ხელები ზეცისაკენ აღაპყრეს. ერთხანს რაღაც იბუტბუტეს, მერე შეტრიალდნენ და ციხეში გაუჩინარდნენ. სულ მალე მომღიმარი ბაადური და ვაჟა შესასვლელში გამოჩნდნენ.

— ყოჩაღ, ბაადურ! — შეეგება ბექა და მეგობარს გადაეხვია — როგორ დააღწიე დედას თავი?

— გამოვიქეცი.

— აქ როგორღა ამოგვასწარი? — ჰკითხა დუხუნამ.

— შვეულმფრენი არ დაგინახავთ? იმით ამოვფრინდით! — მიუგო ბაადურმა დამაჯერებელი კილოთი.

— შვეულმფრენით?! — გაოცდნენ ბავშვები.

— რა ტყუილების გუდა ხარ! — გაიქნია თავი თამრიკომ და ვაჟას შეხედა: — ალბათ ჩოკლე გზით ამოხვედით.

— ჰო, დაემოწმა ბაადური, — ვაჟამ ამომიყვანა, აქაურია, ზეპირად იცის ყველა ბილიკი.

— ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, თუ აქ ბაადური დაგეხვდებოდა, — თამრიკომ ღიმილით ჩამოართვა ხელი ვაჟას და დასძინა: — მე ძალიან კმაყოფილი ვარ.

— ასეა, ბავშვებო, — ჩაერია პიონერხელმძღვანელი, — ამიტომაა მოგზაურობა კარგი.

ბიჭები ახალშეძენილ მეგობარს შემოეხვივნენ. ვაჟა ჰყვებოდა ამოსვლის ამბავს. ბიჭები იცინოდნენ. „ნეტა მე შემმოხვედოდა ეს ამბავი, — ფიქრობდა გულში ბექა, — მშვენიერი მოთხრობა გამოვიდოდა!".

— ახლა ციხე დავათვალიეროთ, — შემოჰკრა ჩვეულებისამებრ ხელი ხელს პიონერხელმძღვანელმა, — მერე კი საველე გაზეთის გამოშვებას შევუდგეთ.

ყველანი ისე იყვნენ აღტაცებულები, რომ ციხე სულ გადაავიწყდათ. ახლა კი ლეილა მასწავლებლის გარშემო შეჯგუფდნენ.

— ბავშვებო, ციხეზე გვესაუბრება ლერი. თქვენ იცით, რომ ლერი ისტორიით არის დაინტერესებული, ამიტომ მას დავავალეთ შეესწავლა ჩხერის ციხე, და ალბათ რაიმე საინტერესოც ექნება სათქმელი. — პიონერხელმძღვანელმა მხარზე ხელი დაადო ლერის და უთხრა, დაიწყეო.

ლერის ღაწვები შეუფაკლდა, ეტყობოდა, ღელავდა; ერთ ხანს ჩაფიქრებული იყო, მერე მიმოიხედა, რატომღაც ვაჟას დაადგა თვალი და დაიწყო:

— მე მინდა შეგახსენოთ ჩვენი მოხუცი მეგზურის ნაამბობი. როცა სოლომონ პირველმა ოსმალოები იმერეთიდან გარეკა, საქართველოს ამ სამეფოშიაც მშვიდობიანობა დამკვიდრდა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან სოლომონ მეფის დასახმარებლად რუსეთის ჯარი შემოვიდა.

იმერეთში რუსის ჯარის გამოჩენამ შეაშფოთა ოსმალეთი. გაბრაზებული ახალციხის ფაშა ხელსაყრელ დროს ელოდა იმერეთის დასალაშქრავად. მალე ეს დღეც დადგა. რუსეთის ჯარისკაცები მალარიამ დასცადა. ამით შეშინებულმა სარდალმა სუხოტინმა ფოთის ციხეს ალყა მოხსნა და თბილისში გაბრუნდა. ამით ისარგებლა ახალციხის ფაშამ, სოლომონ პირველზე განაწყენებულ დადიანთან შეკრა კავშირი და 1774 წლის იანვარში 4000 იანიჩარით იმერეთს შემოესია.

სოლომონ მეფემ დახმარებისათვის მიმართა თავის ნათესავს, ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე მეორეს, რომელმაც დადიანიც გადმოიბირა. და, როგორც ყოველთვის, ქართველები ახლაც გმირულად აღსდგნენ მტრის წინააღმდეგ. შეშინებულმა ფაშამ ჯარი უკანვე გააბრუნა, მაგრამ უკვე გვიან იყო...

●

ქვევით, ხეობაში, მდინარე ჩხერიმელა მიიკლაკნებოდა. მას მარცხნივ შარაგზა მისდევდა, მარჯვნივ კი რკინიგზა. მთის ფერდობები შემოდგომას ათასფრად დაეჩითა ვაშიშვლებულიყო აჩალული სიმინდის ყანები, გაძარცვულიყო მოკრეფილი ზვრები, ტყეს შერჩენოდა მწვანე ფერი, მაგრამ ისიც შეეკრთო ზამთრის მოახლოებას — ბევრგან ფოთლები ყვითლად ან წითლად გამოიყურებოდა. ეს მრავალფეროვნება განსაკუთრებულ ლაზათს და სილამაზეს აძლევდა მიდამოს. ბავშვები მოჯადოებულები გასცქეროდნენ ხეობას.

— აი, აქ, ამ ვიწროებში იყვნენ იმერელი გლეხები ჩასაფრებულები, — ხელი გაიშვირა ლერიმ. — როგორც კი კუდამოძუებული ოსმალოები გამოჩნდნენ, დასცხეს გვერდებიდან, ზოგმა ქვა და ლოდი, ზოგმა მშვილდ-ისარი, ჰოროლი, ზოგმაც თოფი. აქედან კი, ჩხერის ციხიდან, ზარბაზნები ქუხდნენ.

— რა სანახაობა იქნებოდა! — შემოჰკრა ტაში აღტაცებუმლა თამრიკომ.

— ოსმალოები ალბათ სულ „ალაჰ, ალაჰს" იძახდნენ და თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ. — გაიცინა დუხუნამ.

იქვე, ნანგრევებთან, ბექა და ვაჟა იდგნენ, მოფუსფუსე ლეოს უცქერდნენ, რომელიც სახატავად ემზადებოდა. ლეომ „საეტიუდო" გახსნა, მერე ბექას მიუბრუნდა და აღფრთოვანებულმა უთხრა:

— აღარ ვიცი რომელი ერთი ადგილი ჩავიხატო. აქ იმდენი ფერია, საღებავები არ ეყოფა მხატვარს.

ვაჟა მოწყენილი იყო, მკერდს უწვავდა ნახატი, უბეში რომ ედო. ლეოსთვის უნდოდა ეთქვა, მეც ვხატავო, მაგრამ თავს იკავებდა, ვაითუ ქალაქელებმა დამცინონო. ხშირ-ხშირად ბაადურს გახედავდა ხოლმე, იქნებ მან მაინც თქვასო, მაგრამ ბაადური მზიასა და ნათელასთან მასლაათობდა: რაღაცას ჰყვებოდა, იცინოდა.

ბექამ ნანგრევებს მოავლო თვალი და ლეოს უთხრა:

— ჯერ ციხე ჩაიხატე.

— ფანქრით უკვე ჩავიხატე, მაგრამ... — ლეომ ალბომი გადაფურცლა და ნახატს ჩააქცერდა.

ბექამ და ვაჟამაც ჩაიხედეს ალბომში.

— ჩემის აზრით, ურიგო არ უნდა იყოს. — ჩაილაპარაკა ლეომ.

— კარგია. — დაუდასტურა ბექამ და ვაჟას შეხედა, რას იტყვიო.

ვაჟას ხმა არ გაუღია, ის თავის ფიქრებს ებრძოდა.

— აქ მცხოვრები კაცი, — თქვა ლეომ და ქაღალდი „საეტიუდოს" სახურავზე დაამაგრა, — ან პოეტი უნდა იყოს ან მხატვარი!

ბიჭებთან პიონერხელმძღვანელი მივიდა და ბექას ჰკითხა:

— კმაყოფილი ხარ, ოცნება რომ აგისრულდა?

— ძალიან, ლეილა მასწავლებელო!

— ახლა სასწრაფოდ უნდა გამოვუშვათ საველე გაზეთი. ლერი და თამრიკო თითო წერილს დაწერენ, უკვე გავაფრთხილე ისინი. ბექა, შენც დაწერე ერთი წერილი. მანამდე ლეო ჩხერის ციხეს ჩაიხატავს და მერე გაზეთს გააფორმებს. გაზეთის ფოტოპირი იანსაც ხომ უნდა გავუგზავნოთ.

ბექამ გაიღიმა და დასტურის ნიშნად მხრები აიჩეჩა, რაღა თქმა უნდაო.

— ერთ წერილს ბაადურიც დაწერს ალბათ, — თქვა ლეომ.

პიონერხელმძღვანელმა ღიმილით გახედა ბაადურს და დაუძახა. ბაადური ბაჯბაჯით გამოემართა.

— ხუთი კილო მაინც ექნება დაკლებული! — გაიცინა ბექამ.

— წერილი უნდა დაგვიწერო საველე გაზეთისათვის. — ითხრა პიონერხელმძღვანელმა მოახლოებულ ბაადურს.

— წერილი!? — შეიცხადა ბაადურმა. — არასდროს დაიწერია.

— არა უშავს, ბაადურ, ვაჟაც დაგეხმარება. დაწერეთ, როგორ ამოხვედით, როგორ გაიცანით ერთმანეთი, დამეგობრდით... — გაამხნევა პიონერხელმძღვანელმა.

„დავმეგობრდით“! — გაიფიქრა ვაჟამ, — ერთხელაც არ ახსენა, რომ მე ვხატავ, არც დაინტერესებულა, ეს რა მეგობრობაა?!“

— საათნახევარი გეყოფათ გაზეთისათვის. — თქვა პიონერხელმძღვანელმა და საათს დახედა.

— დუხუნა მომეხმაროს, გაზეთში წერილებს ჩაწებება ჰომ უნდა! — შესძახა ლეომ.

— დუხუნაზე უკეთ მაგ საქმეს ვერავინ გააკეთებს. — თქვა თამრიკომ და დუხუნას შეხედა, განმარტოებით რომ იდგა და ფოტოაპარატს აწვალებდა.

— ლეოს ვაჟაც კარგად მიეხმარება, — დაიწყო მოულოდნელად ბაადურმა. — ვაჟაც ხომ მხატვარია, თურმე სკოლაში გაზეთებს აფორმებს.

ვაჟას ამ სიტყვების გაგონებაზე გული შეუქანდა, შერცხვა, ლაწვები შეუფაკლდა.

— მშვენიერი ნახატი აქვს ვაჟას, შეიძლება გაზეთისთვის გამოგვადგეს! — დასძინა ბაადურმა.

— მართლა? აბა გვაჩვენე! — შესძახა გახარებულმა თამრიკომ.

ვაჟა უფრო აიწურა და კედელა აეკრა.

— გვაჩვენე! — სთხოვა ლეომაც.

ვაჟამ გაუბედავად ჩაიყო უბეში ხელი, დაგრაგნილი ქაღალდი ამოიღო, გაშალა, მერე ლეოს გაუწოდა და შვებით ამოისუნთქა, თითქოს დიდი ტვირთი მოიშორაო. ყველანი ლეოს შუმოხვევნენ და ნახატს ჩააცქერდნენ.

— ეს ხომ ფრესკაა! — შესძახა ლეომ. — საიდან გადმოიხატე?

— ღვთისმშობლის ეკლესიიდან. — წაილუღლუღა ვაჟამ.

— ღვთისმშობლის ეკლესიიდან?! — გაოცდა ბექა.

— ჰო, აქვე ახლოსაა. ათიოდე კილომეტრზე.

— ვიცი, ღვთისმშობლის ეკლესია ჩემს სოფელთანაა. — თქვა სასეგაბრწყინებულმა ბექამ. — ის ხომ მანუჩარმა მოხატა.

— მანუჩარმა?! — გაუკვირდათ ბავშვებს.

— ვინ არის მანუჩარი? — იკითხა თამრიკომ.

— მანუჩარი, — გაიცინა ბექამ. — ჩემი მოთხრობის გმირია. ხატვა უყვარდა, ეკლესია უნდოდა მოეხატა, სულ საღებავებზე ოცნებობდა. მამამისი და ბაბუა ქვისმთლელები იყვნენ...

— ძალიან საინტერესოა. რატომ არ წაგვაკითხე? სულ ასე იცი, კაცმა ძალით უნდა გამოგგლიჯოს ხელიდან ნაწერები, — უსაყვედურა თამრიკომ.

— ჯერ არ დამიმთავრებია, თუმცა, ჯერჯერობით, არც დამიწერია. მანუჩარი სიზმარში ვნახე და მოთხრობის გმირს დავარქვი. — ბექა ჩაფიქრდა, მერე მეგობრებს გადახედა და დაიწყო: — როცა ქართველებმა შემოსეულ ოსმალოს მუსრი გაავლეს, გაიოზ მეჭედელმა მანუჩარი გამარჯვებულ რეფეს წარუდგინა და კაციას გმირობის ამბავი მოუყვა. სოლომონს მოეწონა ობლად დარჩენილი ბიჭი, ქუთაისში თან იახლა და გამოცდილ ხუროთმოძღვრებს მიაბარა. გაიზარდა, დაოჯახდა მანუჩარი, რამდენიმე ეკლესია ააგო და დაამშვენა. მერე თავის მშობლიურ სოფელსაც ეწვია. პაპუნა წერეთლის შეკვეთით, ღვთისმშობლის ეკლესია აღადგინა და მოხატა... — ბექამ ნახატი ჩამოართვა ლეოს და დაჟინებით დააცქერდა.

— ნეტა ღვთისმშობლის ეკლესიაც გვენახა! — ინატრა დუხუნამ.

— ვნახავთ, — შესძახა თამრიკომ და პიონერხელმძღვანელს შეხედა: — ყველა ძეგლს ვნახავთ!

პიონერხელმძღვანელს გაეღიმა, ჯერ საათს დახედა, მერე რაზმის ხელმძღვანელს მიუბრუნდა:

— ზაურ, თუ არ ვიჩქარეთ, ძალიან დაგვაგვიანდება.

ზაურმაც დახედა საათს, მერე ბავშვებს მიუბრუნდა და გამოაცხადა:

— ვიჩქაროთ. გაზეთი აუცილებლად უნდა გამოვუშვათ, ყველა ეს ამბავი უნდა აღვწეროთ. თუ ვინმეს რაიმე გაუჭირდება, მე დავეხმარები.

ყველანი მიმოიფანტნენ, ქვებზე ჩამოსხდნენ და წერილების წერას შეუდგნენ.

ბექას რამდენჯერმე უნახავს ღვთისმშობლის ეკლესია, ფრესკების წინაშეც მდგარა. დასჩერებოდა ახლა ვაჟას ნახატს და მანუჩარზე ფიქრობდა: შეასრულა მანუჩარმა კაცია ბაბუას თხოვნა — ხუროთმოძღვარი გახდა... იქნებ ეს ბიჭი მანუჩარის შთამომავალია, — გაუელვა უცბად ბექას და ცნობისმოყვარეობით შეხედა ვაჟას, რომელიც ხარბად ათვალიერებდა საღებავებს და თან ლეოს უსმენდა. ლეო კი ხატავდა და ახლად შეძენილ მეგობარს ფერთა საიდუმლოებას აცნობდა. ვაჟას ძალიან ეოსწონდა ლეოს ავლადიდება: ფუნჯები, საღებავები, ქაღალდები, ხის ყუთი... გულში ფიქრობდა: ნეტა სად იშოვნა? რომ ვთხოვო, იქნებ გამომიგზავნოს თბილისიდანო. მოულოდნელად ლეოს ხმა შემოესმა:

— შენც ხატე, რატომ გაჩერებულხარ?

ვაჟა ფიქრებიდან გამოერკვა, ლეომ კი წყნარად განაგრძო:

— თბილისში ჩამოდი, აუცილებლად. მამაჩემს ვთხოვ, — დაგეხმარება და სამხატვრო პროფსასწავლებელში მოგაწყობს. შენ კარგად ხატავ. უნდა ისწავლო.

ვაჟამ გაიღიმა, საღებავებს ერთხელ კიდევ გადახედა და ჩაილაპარაკა:

— კარგი ფუნჯები და საღებავები არა მაქვს, თორემ...

— ფუნჯები და საღებავები?! — ლეო ჩაფიქრდა, ერთხანს „საეტიუდოს" მისჩერებოდა, ბოლოს თქვა: — ამ ფუნჯებს და საღებავებს დაგიტოვებ.

— ამათ?! — შეკყვირა გახარებულმა ვაჟამ და აღარ იცოდა რა ექნა. ერთხელ კიდევ აურია ხელები საღებავებში, ხარბად შეისუნთქა მათი სუნი და კვლავ ლეოს მიუბრუნდა. — მერე შენ?

— მე კიდევ მაქვს შინ, — მიუგო ლეომ, მერე ვაჟას თვალი მოარიდა და დასძინა: — ნეტა მამა კარგად დამხვდებოდეს და...

ვაჟა შეცბა, სახეზე თანაგრძნობა გამოეხატა და საღებავები კვლავ ყუთში ჩააწყო.

— მოდი, „საეტიუდოსაც" დაგიტოვებ! — გაუბრწყინდა უცბათ სახე ლეოს, — სახატავ ქაღალდებსაც. მამა უსათუოდ კარგად იქნება, ის ყველაფერს მიშოვნის. აი, ნახავ თუ არა! შენ ოღონდ ამ ფუნჯებს გაუფრთხილდი! ხატვას რომ მორჩები, გარეცხე და აი, აქ ჩააწყე ხოლმე. საღებავებს კი თავი ყოველთვის კარგად დაახურე, თორემ ამოშრება, გახმება და აღარ ივარგებს.

ვაჟა სიხარულისაგან ენაჩავარდნილი, გახევებული იდგა და ლეოს მისჩერებოდა. ბექაც იქვე ახლოს იდგა, ხელში ვაჟას ნახატი „ფრესკა" ეჭირა და თავის მოთხრობაზე ფიქრობდა.

ლეოს სიტყვებს რომ მოჰკრა ყური, გახარებული მიუახლოვდა მეგობარს და თქვა:

— იცით რა, ბიჭებო, ჩემს ახალ მოთხრობას „ფრესკა" უნდა დავარქვა.

— „ფრესკა?!" — გაუკვირდა ლეოს.

— ჰო, „ფრესკა". ჩვენ ხომ ამ გადარჩენილმა ფრესკამ დაგვამეგობრა! — ბექამ ვაჟას ნახატს დახედა და დასძინა: — მანუჩარმა ოცნება აისრულა, მხატვარი გახდა, ბევრი ეკლესია მოხატა...

— ალბათ ჩვენი სოფლის ღვთისმშობლის ეკლესიაც მან მოხატა! — შესძახა ვაჟამ, — ის ხომ ჩვენებური იყო!

ბ ი ვ ი ჯ ი ჯ ი ნ ა ძ ე

ჩანახატი

ხეს საკუთარი ჩრდილი გაექცა,
იისფერ ნისლში მზე ინაცრება.
ხარებს თვალები სურვილად ექცათ,
ანწლს ამღვრევია შავი მარცვლები.

სოფლის შარაზე სიწყნარე სუფევს
და გაოცება — დამწდარი ღელის.
ბიჭს მწიფე ტყემლით სავსე აქვს უბე,
ხარებს მიდენის... და მიიმღერის.

ქალები

შუქი ჩაუდგა ორივე თვალში
და მკერდში სისხლი მოაწვა ჭარბად.
წამოიწია:
— ფოთლებიო! —
თქვა და დადუმდა.
სურვილი წამსვე შეუსრულა მას ხატიქალმა,
უხმოდ რომ ეჯდა იქვე, სასთუმალს.
თუმცა ძალიან ეცოტავა, სიტყვა არ უთქვამს,
ისე უცქირა დაფიქრებით ორიოდ ფოთოლს...
მერე ბალღივით აიტეხა, მთები მინდაო,
სუნთქვა შეეკრა,
ხველა აუტყდა ..
და როცა ქალი ოთახიდან ისევ გავიდა
(ალბათ მთებისთვის),
გონდაკარგულთან თვით მოვიდნენ ჭაღარა მთები
და გახურებულ ბაგეებზე შუბლი მიადეს.
თან მოუტანეს ყინულივით ცივი იმედი,
უკვდავი სული
და სიდიადე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ეულ ...ლოსაზე

შუადღის ხვატით ლივლივებს სივრცე.
სტვენით გასულან ბიჭები მაღლა;
ახლად გარანდულ ფიჭვის თეთრ
ფიცრებს
ნაცნობი სოფლის სურნელი ახლავს.
აქ ყოველ დილით იჩქარის ზევით
შავტუხა გოგო, კალათით ხელში,
და საცალფეხო, ხვეული გზებით
მიაქვს სითბო და ბავშვური შიში...
მაღლდება ისე, როგორც გულისთქმა,
ავა ზევით და სტვენაც მიწყდება,
მერე იელვებს მზე აგურისფრად
და შიშველ ზურგებს დაეფიცხება
ტკბილი ღიღინით შლიან საუზმეს
სველ დოქში ღვინო ჩქეფს
ციცველა.
ოსტატი შეგირდს ჭიქას აუვსებს:
— მზის სადღეგრძელო შევსვათ
პირველად!
ნაცნობი სოფლის სურნელი ახლავს
გაზეთზე გაშლილ პურსა და
ღვინოს.
ვერ იკავებენ ბიჭები ღიმილს
და ოცნებებით მიჰქრიან მაღლა.

...ირეკი

ირმებმა დატოვეს მაღალი მთები.
ლამაზი მთები დატოვეს ირმებმა;
ახლა კი კისრამდე ბალახში
თვლემენ.
ირგვლივ სიმწვანე ნისლივით ირევა.
ნისლივით ირევა სიმწვანე სულშიც.
მშიერი ფუტკრები ქცეულან ისრებად,
ცა წყაროსავით ახლოა — ლურჯი.
და ტყე ირმების დუმილით ივსება.
ირმებმა დატოვეს მაღალი მთები.
ლამაზი მთების სამეფო დატოვეს;
ახლა კი კისრამდე ბალახში თვლემენ
და მაინც იმ შიშველ, მაღალ მთებს
ნატრობენ.

პაოლო ძნელაძე

...ირეკი

გმირები არა კვდებიან,
გმირები არაკდებიან,
ჩვენს რიგებს არ აკლდებიან
დაფერფლილები მზისთვის;
მაღაროში თუ ყანაში
წინ ისწრაფვიან მხარგაშლით.
გზას გვინათებენ კაშკაშით
და დასცინიან სიკვდილს...

სტექდა ვლადიმერ კანკავა,
გრიგალი მკერდით გაკვალა.
იქცა მამულის თაყვანად
ვეფხვი ქართული მიწის.
გამარჯვებული წყვდიადზე,
მძლავრი და გულუხვია მზე.
სიმღერა სხულუხიაზე
ამ მზის ცხელ გულად იწვის

სამშობლოვ, მხოლოდ შენია,
რაც გულს ნათელი ჰფენია.
შენდამი ტრფობის გენია
ქვეყნად ყველა ცეცხლს სჯაბნის.
მაშ, იყოს მრავალჟამიერ,
რაც მზეს ამკვიდრებს ჯანიერს!
მაშ, იყოს მრავალჟამიერ
ფრენა კეთილი აფრის.

ანზორ აბულაშვილი

...ეკვ ...ოსნაძენდა ...აფხული

აყვავდნენ და ახასხასდნენ
მინდვრები და სერები.
მოიხატა საქართველო
მზით ნაფერი ფერებით.
მის ველებში, ზვრებში, მთებში
შემობრძანდა თიბათვე.
მისი სწორუპოვარი მზე
ისევ ისე გვინათებს.
კვლავ გვიხმობენ, მიგველიან
მთები, ზღვა და ველები,
სხვებზე უფრო ლამაზები,
სხვებზე საკვირველები.
გვიხმობს რაჭა, იმერეთი,
მესხეთი თუ გურია.
ჩვენი ზეცა — ცა კი არა. —
ლურჯი აბრეშუმია.
გვიხმობს ქართლი,
სამეგრელო,
კახეთი თუ სვანეთი.
სხვაგვარ ღიმით,

სხვაგვარ გულით,
სხვაგვარ სიმხურვალეთი.
მწვანედ, ცისფრად ხასხასებენ
ველები თუ სერები;
მართლაც თვალის მომჭრელები,
მართლაც მშვენიერები.
ზემოთ — მთები თოვლიანი,
ისიც დედა-ქართლია!
თეთნულდი თუ მყინვარწვერი
კელაპტრისებრ ანთია.
შემობრძანდა მწვანედ,
ცისფრად
მოხასხასე ზაფხული, —
დახატული, ჯადოსნური,
დღემდე ჯერარნახული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოსწავლეთა

ბეჭედი

ყვავილი ასფალტში.

აფუყულიყო ასფალტის ბელტი,
ჩაბზარულიყო შავ ნაპრალებად;
თოთო ყვავილი თრთოლვით და ფეთქვით
მონანაობდა გასახარელად.

არ. გავიკვირვო, არ შემიძლია, —
ასფალტის სისქე როგორ დაძალა,
ასე ძლიერად არ შემიცნია
გამარჯვებული სიცოცხლის ძალა.

უჩივის დედა, ყვავილები როგორ
გაძვირდა,
თან ყოველ დილით თაიგული მოაქვს
ბაზრიდან.
ერთხელ ბაზარში მეც გავყევი
(კვირას თუ შაბათს).
— შესდექ, დედილო! — შეგვაჩერა
თვალებმა შავმა.
— თქვენ ხომ ყვავილებს, ვიცი, მუდამ
ჩემთან ყიდულობთ,
მაშ რატომ გინდათ დღეს, დედილო,
რომ შემიმდუროთ.
რატომღაც გულში ჩამესახა პატარა
დარდი,
როცა გოგონამ დაგვიმატა წითელი
ვარდი...
გარეთ წვიმაა, ქარი დაქრის, თუ
ქუჩებს ათოვს. —
იმ დღიდან დედას აღარ ვუშვებ
ბაზარში მარტოს.

კოტა ბუმბურიძე.
თბილისის 81-ე საშუალო სკოლის
IX კლასის მოსწავლე.

მთის პირქუშო

ციოდა. ყინავდა. მეტად სუსხიანი ზამთარი იდგა. ბუმბერაზი მთები თეთრ სამოსელში გახვეულიყვნენ... თოვლი ახლად ამომავალ მზის სხივებს ირეკლავდა და მეტად თვალისმომჭრელად ელვარებდა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იყო. მხოლოდ აქა-იქ მოხვავებული თოვლისა და დაგორებული ლოდის ხმაური თუ არღვევდა მყუდროებას. ო! რა საშინელი იყო ეს პირქუში მყუდროება!

უეცრად მოისმა თოფის გრიალი. ჰაერი შეზანზარდა. მთის პიტალოზე გამოჩენილი ჯიხვი წინა ფეხებით ჩაეკიდა კლდეში. წაიფართხალა, უკან გადაიზნიქა. შეეცადა თავი შეემაგრებინა, მაგრამ, სიკვდილმა სძლია. თოვლი სისხლით შეიღება. ჯიხვს თვალები აემღვრა, საბრალომ ერთი კიდევ შეიფართხალა. ლოდი, რომელზეც უკანა ფეხები ედგა, შეირყა და ისიც, ლოდთან ერთად, უფსკრულისაკენ გაექანა.

ჯიხვი გვერდზე თავგადავარდნილი და გაყუჩებული ეგდო. თეთრი ღრუბლები წინ მიიწევდნენ ჯგუფ-ჯგუფად, თითქოს ზევიდან უალერსებდნენ მას.

ნელ-ნელა ბარდნა დაიწყო. მერე და მერე მოუხშირა, ნისლი ჩამოწვა. ჯიხვი აღარ ჩანდა, თოვლს დაეფარა. მთა თავის კალთებში ასამარებდა თავის პირმშოს და თითქოს იდუმალ ხმაზე ნანასაც უმღეროდა.

საოცარია ბუნება.

ნინო დაბრუნდაშვილი.
თბილისის 61-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

გაზაფხული მოვიდა. კოტე რუხაძე. თბილისის 65-ე სკოლა, IV კლასი.

ჩიტი

გარეთ წვიმს, ფანჯრის რაფაზე
წვეთებს გაუდის ხმაური,
ქარიც ქრის გაცოფებული,
დგას ერთი აურზაური.

ხეზე ზის ჩიტი პატარა,
აბანებს მას წვიმის წყალი.
ნეტავ ვის უცდის, რადაა
შეშინებული, შემკრთალი?!

ალბათ თუ ბუდე დაენგრა,
შველას მოითხოვს საწყალი.
ბუდეს ნუ ვუნგრევთ, ვუშველოთ,
არ აწუხებდეს ღვარწყალი.

მარინე ზარდალიშვილი,
ვურჯანიის რაიონის სოფ. კალაურის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

ნინო ეროშინა. თბილისის 87-ე სკოლა, IV კლასი.

ღუბაკრეს

ნიკა პაპა ადრე ადგა. ეზოში ჩამოვიდა და იქაურობას თვალი მოავლო. შენიშნა, რომ ბაღჩას ერთ ადგილზე მესერი შემორღვეოდა.

— ეჰ, საქმე არა თავდება! — თქვა და გამოიტანა ფიცარი, ჩაქუჩი, სხვა საჭირო იარაღი და მუშაობას შეუდგა. ამ დროს მას ბაღჩის იქით მყოფი ბიჭების ლაპარაკი მოესმა:

— მოდი, ბიჭებო, ჭალაში წავიდეთ, დღეს ხომ შაბათია, ხვალ კი გაკვეთილები ვისწავლოთ, — საუბრობდნენ ერთმანეთში ზურაბი, ნოდარი და კახა, რომლებიც სკოლიდან ბრუნდებოდნენ.

— ბიჭებო ო... ბიჭებო ო!... დამიცადეთ, — მოესმათ მათ თანაკლასელი ეკას ხმა.

— ნოდარ! კახა! მოდით აქ, მოდით! — ხელი დაუქნია ამხანაგებს ეკამ.

ბიჭები ახლოს მივიდნენ.

— ბიჭებო, მოდით რა, ნიკა პაპას მივეხმაროთ, მარტო მუშაობს, ცოდოა.

ბიჭებს მოეწონათ ეკას აზრი და გადაწყვიტეს მივეხმაროთ მოხუცსო.

— ნიკა პაპა, მოგეხმარებით, — ღობეს მოადგნენ ბავშვები.

— აი, თქვენ კი გაიხარეთ, შვილებო! — წამოიძახა თვალებგაბრწყინებულმა მოხუცმა.

ბავშვებმა სამუშაოს მოჰკიდეს ხელი და საღამოსთვის მთელი მესერი შეაკეთეს.

— გმადლობთ, ბავშვებო, გაისად ალბათ უფრო ამომიდგებით მხარში, მომეხმარებით. — გახარებული იყო მოხუცი.

ბავშვები შინ წავიდნენ, გზაში ნოდარმა ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— ჭალაში რომ ვერ წავედით, ბიჭებო?

— მერე რა, სამაგიეროდ, ნიკა პაპას მივეხმარეთ. ჭალაში ხვალაც მოასწრებთ წასვლას, — უთხრა ეკამ, ორღობეში გადაუხვია და ამხანაგებს დაემშვიდობა.

მერი შალვაშვილი,
ქ. რუსთავის მე-13 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზთიესკი

მთვარე სარეცელზე მიჯაჭვული მომაკვდავივით დალეულიყო. მისი შემხედვარე ვარსკვლავები შიშისაგან ცახცახებდნენ. ფერი მისდიოდათ. წყვდიადის სამთავრო დაღონებულიყო. ღამეს აკანკალებული ხელიდან სამეფო კვერთხი უვარდებოდა. ნელ-ნელა იკრეფდა ყორნისფერ ფრთებს, აღმოსავლეთით, ცის კამარას მტრედისფერი ეპარებოდა.

მანანა გეგიაშვილი,

თბილისის მე-4 საშ. სკოლა. VIII კლ. მოსწავლე.

ცხოველთა სამყაროში.

გივი ნონიკაშვილი.
თბილისის 1-ლი გახანგრძლ. დღის სკოლა, II კლასი.

საშოჭლი

შენი ზვრები და ხეხილი
აჩეხილი არ მეხილოს,
შენი ზეცა არ მომაკლდეს,
კავკასიის მთაგრეხილო.

ჩრდილი თუა, ღამე თუა,
შენი ჩრდილი დამეფაროს,
ტანჯვა თუა, შენით იყოს,
მხოლოდ შენით გამეხაროს...
თვალი შენთვის ამეხილოს,
მიწაც შენთვის დამეყაროს...

გულს იმდენი სხივით ავსებ
უწმინდესო წყაროსთვალო,
როგორ გითხრა, ან რა გითხრა,
ან რამდენი ჩამოვთვალო...

ვაზისფერი

ამოწვერილან ია-იები,
ღვიძავს ბუნებას,
თოვლი მთებიდან
მიექანება ნაკადულებად.

გადაიშლება მწვანე ტევრი
მზის საჩრდილობლად
და ყვავილები შემოგვცინებს
რილო-ჭრილოდან.

ოცნებასავით მოციაგე
ცა მოწმენდილა...
ნეტავ სუყველას
აუხდინა ფიქრი კეთილად!

ვით სიყვარულით, —
გაზაფხულით სუნთქავს ბუნება
და ზამთრის ფერი
ტყე-ველს მისდევს ნაკადულებად...

თამარ ვაშაკიძე,

თბილისის მე-19 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ ეწოდება „დიაკვნის ველი"?

დედაჩემის სოფელი საგარეჯოს რაიონშია, მას ჩაილური ჰქვია. თურმე ძველად ეს სოფელი ცივგომბორის მთის ძირას ყოფილა გაშენებული, ნასოფლარს ახლაც „ძველ ჩაილურს" ეძახიან. იქვე ახლოს ველია, რომელსაც „დიაკვნის ველი" ეწოდება.

მე ძალიან მაინტერესებდა, თუ რატომ დაარქვეს ველს ეს სახელი და სოფელში ყოფნისას პაპას ვკითხე. აი, რა მიამბო მან:

„ერთხელ დიაკვანი ცოლთან ერთად სტუმრობიდან შინ ბრუნდებოდა. მათ უღრანი ტყე უნდა გაევლოთ გზად. ამ ტყეში დიაკვანსა და მის ცოლს წინ სამი ლეკი დაუხვდათ. დიაკვანმა მათ უთხრა: ქალთან ბრძოლის გაჩაღება სირცხვილია, ჩემს ცოლს სამშვიდობოზე გავიყვან და მერე შევებათ ერთმანეთსო. მან თავისი სიტყვა შეასრულა. ბრძოლაში ქართველმა ორი ლეკი მოკლა. მესამე შეეხვეწა, ნუ მომკლავ და ჩემს სამშობლოში ამბავს მივიტან, რომ ქართველები მამაცები და სიტყვის პატრონები არიანო. დიაკვანმა დაუჯერა და ცხენი სახლისაკენ მოაბრუნა. ლეკი მუხანათურად მიეპარა, ზურგში ხანჯალი ჩასცა და დიაკვანი წუთისოფელს გამოასალმა.

ამიტომ ეწოდება ამ ველს „დიაკვნის ველი". ბრძოლის ადგილას დიდი ქვა დევს. მას აწერია: „აქ გაიმართა ბრძოლა ერთ ქართველსა და სამ ლეკს შორის".

აი, ასეთია პატარა ამბავი „დიაკვნის ველისა".

ქეთევან მღვდელაძე,
თბილისის 51-ე საშუალო სკოლის
VI კლასის მოსწავლე.

პინგვინი

პინგვინს მხოლოდ ერთი ხელი ტანსაცმელი ჰქონდა და ყველგან იმით დადიოდა. თეატრში კიდევ რა უშავდა, მაგრამ ზაფხულში საბანაოდ წასვლა რომ დააპირა, მთელი კარადა გადაჩხრიკა და საბანაო სამოსი ვერაფერი იპოვნა. მეტი რა გზა ჰქონდა, იხტიბარი არ გაიტეხა და საბანაოდ ისევე გასწია, როგორც იყო ჩაცმული. მობანავეებს უკვირდათ: ამ პინგვინს არაფერი გაეგება ქვეყანაზე, სად გაგონილა სმოკინგით ბანაობაო.

პინგვინმა თავისი თავი უბეღურად ჩათვალა და ერთ მშვენიერ დღეს იმ ადგილებიდან გადაიხვეწა. თან არაფერი წაუღია, ან რა უნდა წაეღო, რაც არაფერი გააჩნდა? შეისწორა თავისი ერთადერთი სმოკინგი და გზას გაუდგა. მაგრამ მეს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა იმ მიყრუებულ კუნძულზე უამრავი პინგვინი დაინახა. თურმე მარტო ამას კი არა, ყველა პინგვინს დაბადებია ვანმარტოების სურვილი. შორეული კუნძული სავსე იყო პინგვინებით და, წარმოიდგინეთ, ყველა სმოკინგით ბანაობდა.

გერმანულიდან თარგმნა თბილისის მე-60 საშუალო სკოლის
VIII კლასის მოსწავლემ რუსუდან მამულაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესმა

ლალი თოთაძე, ასპინძის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

ხეთა ჩურჩული მესმის,
ვარდის კვირტების ფეთქვა,
სიმღერა მესმის ზეცის,
მიწას რომ დამახეთქა.

ძველი საუდარი კვნესის,
თუ დღეს ხალისობს გული, —
მე ორივესი მესმის,
მწვავს მათი სიყვარული.

მესმის ფიფქების თოვა,
ქვითინი დაჩაგრულის,
ვიცი, ქარების ქროლვას
რად სდევნის გაზაფხული.

რად მღერის ყველაფერი,
როცა დრო არის ლექსის.
მე ქვეყნის გულის ცემის
დიდი ხმაური მესმის.

ბავშვობის ბუნებრივი

მეგობარო, გახსოვს სკოლა პატარა
და სკოლაზე პაწაწინა ოდები,
მოდუდუნე ნაკადული ანკარა,
ჩვენი ცარცით დახაზული ლოდები.

ჭალის პირას შინდისფერი კუნელი,
ღობის პირას — თეთრი აკაციები.
მოიგონე ნედლი თივის სურნელი,
მოიგონე ლურჯი ია-იები.

მოიგონე სირბილი კლდის გადაღმა,
ნასოფლარი, სევდით ატირებული,
საფლავის ქვა — აუხსნელი ქარაგმა,
და ყვავების მოყაყანე კრებული,

ერთმანეთთან წუხილების გამხელა
და ნათურა ყვავილები ყანაში.
მოიგონე კლდეზე ციხე რამხელა,
მის კედლებთან ომობანას თამაში.

მოიგონე ტყიდან ფიჩხის მოტანა,
ნაძვის წიწვი გაბნეული თმაში.
ფეხშიშველი, ხელში თეთრი შროშანა,
ტკივილები რა ვიცოდით მაშინ.

ხშირად ძროხებს ბნელშიაც რომ
ვეძებდით...
გახსოვს ყინვით ალანძული ლოყები?
შიშველ ფეხებს აბა რას დავეძებდით,
ოღონდ სახლში მიგვედენა ძროხები.

მოიგონე და იტირე თანაც,
წიწვი ძებნე გადავარცხნილ თმაში.
ფეხშიშველი, ხელში თეთრი
შროშანა...
ტკივილები რა ვიცოდით მაშინ!

ნამუშევარი. დავით თარხნიშვილი. თბილისის 51-ე სკოლა, III კლასი.

ღამეა. ქვეყნის წუხილი მესმის.
(ნეტავი ვინმემ რამე მახაროს!).
ცა დედამიწას ფანტელებს ესვრის
და თეთრი მოჩანს მთელი სამყარო.
ქვედა უბანში ყმუის ნაგაზი,
ბუხართან პირჯვარს იწერს ბებია.
პატარძალივით მორთულა ვაზი
და ზამთარს ჩუმად გასჯიბრებია.
ერეკლეს ხიდსაც სძინავს ოცნებით,
ბოსელში სევდით კიკინებს კრავი.
მთებზე დამსხდარან თარგამოსები,
დამძიმებიათ ოცნებით თავი.
ცივა და ცაზე ვარსკვლავიც არ ჩანს,
დამწუხრებული თვლემენ ველები.
კარს გამოვაღებ, ვაჯობებ ზამთარს
და მთელ სამყაროს მოვეფერები.

ვერ დამაშორა

მახსოვს პატარა სკოლა,
მდინარის პირას მდგარი;
მახსოვს ყვავილთა თოვა,
მახსოვს პირველი ზარი.
ახლაც ცერებზე ვდგები
და თითქოს სიზმრად ვნახე:
პირველი მასწავლებლის
გაბრწყინებული სახე.
მახსოვს პატარა კლასი,
ფანჯრიდან ჩანდნენ მთები.
მვიდი ვიყავით ბავშვი,
კარგები, ბეჯითები.
რა კარგი იყო მაშინ,
წლებმა ვერ დამაშორა:
ჩემი პატარა კლასი,
ჩემი პატარა სკოლა!

ზამთრის ფანტელები

შუაღამეა. გავცქერი ველებს,
ველებს დაფენილს თოვლში
ფარჩებად.
დაბლა დავუშვებ უღონოდ ხელებს
და გაზაფხული მომენატრება.
ცაში შესცივდა მთვლემარე
ვარსკვლავს,
ოდნავ რომ ფეთქავს, ჩემი გულია.
გაზაფხულს მუდამ ქუხილი ახლავს
და ქუხილებიც გაზაფხულია.
ყინვით ლოყები აეწვა ვარსკვლავს,
ცას გაზაფხულზე ეჩურჩულება.
დაუჭყეტია თვალები ზამთარს,
უფერულ სიზმრებს უხსნის ბუნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგანბურთი. ზურაბ ღონღაძე. თბილისის 37-ე სკოლა, IX კლასი.

ძაღვრის და კატის კამეჩობა

— სალამი! როგორ ბრძანდები,
ჩემო ლამაზო თაგუნი?
— მე კარგად,
თქვენ როგორა ხართ,
ჩემო ძვირფასო კატუნი?

— მეც კარგადა ვარ. სტუმრადა
მოვდივარ შენთან, თაგუნი.

— მობრძანდით,
მაგრამ ერთსა გთხოვთ,
ჩემო ძვირფასო კატუნი:
თქვენებურად არ დაიწყოთ,
თაგვების ძვლების კნატუნი.

ციცინო ჯულუხიძე,
ქ. სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის
X კლასის მოსწავლე.

დალი ზიზმანაშვილი.
თელავის რაიონის სოფ. იყალთოს საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

საჯარო ნუში

ბაზის პირას პატარა ბაღი იყო. ამ ბაღში ძალიან ლამაზი ხეები იზრდებოდა: შაქარა მსხლები და ვაშლები, კრიალა ალუბლები, კაკალი...

ყოველ გაზაფხულს, როცა არე-მარე ამწვანდებოდა, ბაღში პირველად ია გაიფურჩქნებოდა, მორცხვად ასწევდა თავს, მეზობლებს გაზაფხულს მიულოცავდა და ისე კეკლუცად დახრიდა თავს, თითქოს ლილისფერ ზეცას სინაზეში ეჯიბრებაო.

ამოხეთქავდა ბალახი, მოფრინდებოდნენ ჩიტები, აყვავილდებოდნენ ხეები და იქაურობას ისეთი სასიამოვნო სურნელი მოეფინებოდა, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა.

აფარფატდებოდნენ ფრთახატულა პეპლები, აფუსფუსდებოდნენ შრომისმოყვარე ფუტკრები და ბაღი საამური სანახავი ხდებოდა.

ერთ გაზაფხულს, მოხუცმა კაცმა გულუვითელა მსხლებთან ნუშის ნერგი დარგო.

ნერგი ჯერ პატარა იყო და ყველაფერი აკვირვებდა, გადახედავდა ალუბალს და ეკითხებოდა: ამდენს რატომ გალობენ ჩიტუნები ან ფუტკრები ყვავილებს რატომ ეტანებიანო?!

ალუბალი დაიხრებოდა და ჩასჩურჩულებდა:

— ჩიტუნები გაზაფხულს უგალობენ, ფუტკრები კი შრომობენ. ყვავილებიდან ტკბილ ნექტარს იწოვენ, რომ თაფლი დაამზადონ, აბა, უსაქმოდ ხომ არ იქნებიანო! თან რტოს გადაიწვდიდა, მოეფერებოდა, არიგებდა, ზრუნავდა.

თანდათან იზრდებოდა ნერგი.

— გაიზარდეო, — ეფერებოდა მსხლის ხე.

— წვიმის და ქარისა ნუ შეგეშინდებაო, — ბუბუნებდა განზე მდგარი კაკალი.

გავიდა ხანი... ნერგი აიშოლტა და მშვენიერი ნუშის ხე დადგა, მაგრამ ყველასაგან განებივრებული, ცოტა არ იყოს, გამეტიჩრდა.

— პატარა ალარა ხარო, — არიგებდა ვაშლი, — ნუ ამპარტავნობო.

ნუში უფრო გაამპარტავნდა, თავს არავის უყადრებდა. რა ჩემი ტოლები არიანო!

გათბა თუ არა, ნაადრევად აყვავდა.

— აბა, ერთი შემომხედეთ!. — სიამაყით გადახედა მეზობლებს. — ყველას მე გკობივართ, აბა, რომელი შემედრებით სილამაზითაო.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მისი სიხარული. დაჰბერა ქარმა და სუსხმა მოუჭირა.. ნუშს ერთიანად დასცვივდა ყვავილი.

მოვიდა გაზაფხული. აყვავდა, გაიფურჩქნა, გალამაზდა ხეები.

ნუში იდგა და სინანულით შეჰყურებდა მათ. ახლა თვითონ გახდა დასაცინი. გული ეჩაგრებოდა, იბუზებოდა.

— ძალიან გავანებივრეთ, იმიტომ დაგვცინოდაო, — ამბობდა მსხლის ხე.

— ძვირად დაუჯდა მეტიჩრობა, — ჩურჩულებდა ნიავი.

ნუში კი იდგა მობუზული და გულში ნანობდა, — ნეტავი არავისთვის დამეცინაო. მისი დამზრალი კვირტებიდან ცრემლივით მოედინებოდა წყალი და თეთრი ზოლივით დასდევდა მთელ ტანზე.

თაყის წინდაუხედავობას თუ დასტიროდა საბრალო ნუში...

ალათბურთი. დავით ფანჩვიძე.
თბილისის 65-ე სკოლა, IV კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღუმელთან

ბ ა თ ი ლ ა შ ვ ი ლ ი
მ ი ხ ე ი ლ,
კასპის
მე-3 სკოლა,
V კლასი.

11811

სიფრთხილეა კარგი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ციცქნა კეფალს პირველ ხანებში გაუჭირდა ცურვა, მაგრამ ბუნებამ თავისი გაიტანა. ჯერ კიდევ პატარა იყო მაგრამ უკვე ლაღად აპობდა პალიასტომის ტალღებს. პალიასტომმა მას კანიც გაუმაგრა და ზოლებიც დააყოლა. კეფალი მარჯვედ ამოევლო ტბის ფირუზში და სიხარულისაგან ზემოთ, ჰაერში ახტა. უცებ შეკრთა, რადგან იგრძნო, რომ სულ სხვაგან — თვალუწვდენელ ლაჟვარდში მოხვდა. სული შეეხუთა და ისევ წყალში ჩავარდა.

— კეფალის პირველ ნახტომს გაუმარჯოს! — მიაძახეს თევზებმა....

„დახეთ საოცრებას. მე უკვე არაფრით არ განვსხვავდები დიდი კეფალისაგან“, — გაიფიქრა პატარამ და აღტაცებულმა სხვა თევზებთან ერთად ფერხული დაუარა.

დაბინდებისას კეფალი გაკვირვებით იხედებოდა ზევით. ცას ციმციმა მედუზები შესეოდნენ. იქვე ახლოს კი ოქროსფერი დიდი ბურთი იძირებოდა. „ჩემია გოლიათი ბურთი!“ — წამოიძახა გახარებულმა ცნობისმოყვარე კეფალმა, ფარფლი ფარფლს შემოჰკრა და „ბურთისაკენ“ ხალისიანად გასცურა. ბოლოს ახტა კიდეც — ახლა კი მივწვდებიო.

გულიანად ჩაეცინა ჩამავალ მზეს, მისი უკანასკნელი სხივები მუქ ვარდისფერ ზოლად გაეკრა ზეცასა და პალიასტომს.

უცებ პატარასთან ხანდაზმული კეფალი მიცურდა. ბოლო ალერსით მოუსვა, ლაყუჩი აუწკაპუნა და უთხრა:

— მისმინე, პატარავ! გოლიათი. რომლის მიწვდომასაც შენ აპირებდი, მზეა! იცი რას ნიშნავს მზე? ეს სიცოცხლეა! ციმციმა მედუზები კი ვარსკვლავებია! ადრე მეც დავდევდი მათ დასაჭერად. ჭაბუკური გატაცებაა! დროა ისწავლო ჭკუა!

როდის-როდის, აისიც ეწვია პალიასტომს. ტბა გაიზმორა... მის ფსკერზეც მზეს შეჰხაროდა ყველა. პატარა კეფალიც სასეირნოდ გამობრძანდა.

— ეს რაღაა? — განცვიფრებით შეხედა მაცდურად ჩამოკიდებულ ჭიას.

ბოლო დროს ბევრი საოცრება ნახა. ბრჭყვიალა კაუჭმა უფრო გააკვირვა. მიცურდა მასთან. და, ის იყო უნდა გადაეყლაპა, რომ უეცრად ბებერი კეფალი მოსრიალდა, ბოლო გაჰკრა და გვერდზე მოისროლა. გაბრაზებულმა პატარამ ტუჩები აიბზუა და მოხუცს ზურგი შეაქცია.

ამ დროს თვალებდაბრეცილი ქამბალა ჭიას მისწვდა და ერთიანად გადაყლაპა...

— ამისთვის თუ შეიძლება, ჩემთვის არ შეიძლებოდა? — შესძახა გაბუტულმა კეფალმა.

უცებ, ანკესზე წამოგებული დაუდევარი თევზი ზევით ასწიეს. კეფალმა აიხედა და დაინახა, რომ ვიღაც გრძელხელა დ მოკლეფეხება სულიერს მოფართხალე ქამბალა ხელში ეჭირა და პირიდან ნემსკავს აძრობდა...

— ეგ ვინ არის? ფეხებიანი თევზია? — იკითხა მოზარდმა კეფალმა.

— ადამიანია! ჭუდამ უფრთხილდი მას! — იყო ბებრის მოკლე პასუხი.

ერთ დღეს ტბის მცხოვრებთ დიდი უბედურება დაატყდათ: უზარმაზარი ბადე ხახადაღებული ურჩხულივით წინ მოიწევდა და თევზებს სავალს უხშობდა.

— ნუთუ ამისი გეშინიათ? — იკითხა პატარა კეფალმა და ბადეში ჩახტა.

გაშლილ ტბაში ნავარდს მიჩვეულს ბადე ეხამუშა, ხან აქეთ ეხეთქებოდა, ხან — იქით, მაგრამ ამაოდ. ბადე თანდათან ივსებოდა. განწირული თევზები მწარედ ტიროდნენ, მოთქვამდნენ. თითქოს პალიასტომიც აბობოქრდა, ტალღა მოიქნია თავისი გაზრდილების გადასარჩენად... მაგრამ არაფერი გამოდიოდა, თევზებს გზა მოჭრილი ჰქონდათ.

უეცრად ახალგაზრდა კეფალმა ბებერი კეფალი დაინახა.

— თქვენც აქ ბრძანდებით? — გაბზარული ხმით ჰკითხა და ცრემლიანი თვალები იმედით მიაპყრო.

— ეჰ, ალბათ ასეთი ყოფილა ჩემი ბედი! — თავი დაუქნია ბებერმა. — მაგრამ, ვაი რომ, შენც აქ ყოფილხარ! წამო... ჩქარა... ერთ ადგილს გიჩვენებ... ვიცი, ახტომა გეხერხება. გადაურჩები ბადეს.

ახალგაზრდა მოიბუზა, თავი ფარფლებში ჩამალა და მწარედ აქვითინდა.

— დოყლაპიავ, რა გატირებს? — სიყვარულით შეხედა ბებერმა და ცრემლები ფრთხილად მოსწმინდა.

ბადის კიდესთან ბებერმა ერთიც მოაბრუნა მოზარდი კეფალი და დასძახა:

— აბა, შეჰკარ კამარა, სიცოცხლე გრძელდება!.. — და რაც ძალი და ღონე შერჩენოდა, ჰაერში ავარდნილ მოზარდს ბოლო წაჰკრა...

ახალგაზრდა კეფალი გადაევლო ბადის კიდეს და ზღვაში გადაეშვა.

...და შორს, ზღვაშიც ესმოდა ბებერი კეფალის ძახილი:

— სიცოცხლე გრძელდება! სიცოცხლე გრძელდება!..

ლიდა სოხაძე,
ფოთის მე-5 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.



მაისობა
მეფის დროს.

თემურ ძიმისტარაშვილი,
ჭუთაისის 30-ე სკოლა, VI კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნერვიული. რაუფლ ფეიჯა. სოხუმის 1-ლი სკოლა-ინტერნატი, VI კლასი.

რატომ?

ჩანახატი

ალაუზე ტევა არ არის. სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული დამსვენებლები მზეს ეფიცხებიან. მზეც მცხუნვარე სხივებს უხვად უნაწილებს ყველას, მხიარული სჯა-ბაასი, სიცილ-კისკისი ისმის ყოველი მხრიდან.

ზღვა მშვიდია. აქოჩრილი პატარა ტალღები მხიარულად ეთამაშებიან ნაპირს, თეთრ კენჭებზე დასრიალებენ, არაქათგამოლეულნი ღონეს იკრებენ და კვლავ განაგრძობენ ცელქობას, თითქოს სილაში მოთამაშე პატარებს თავისკენ იწვევენო.

ბუთხუზა ბიჭუნას ჩალის ქუდში მოუმწყვდევია ცისფერი ტალღა და მხიარული კისკისით მოარბენინებს.

ერთი სანდომიანი სახის თეთრწვერა მოხუცი სკამზე მოკალათებულა და ზღვას გასცქერის. მას სახეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებს, ალბათ ზღვასთან დაკავშირებული რომელიღაც ეპიზოდი თუ აგონდება თავისი ცხოვრებიდან.

თვალებციმციმა გოგო-ბიჭები ფოტოაპარატის წინ ხელიხელგადახვეულები დამდგარან.

„ნაყინი, ნაყინი“. — ისმის ძახილი და ახლა ნაყინის გამყიდველ ძიას გარს ეხვევიან...

ვუყურებ და ვტკბები ამ საამო სანახაობით. უცებ რეპროდუქტორიდან ზანგი გოგონას ნაღვლიანი სიმღერა გაისმა.

„...მე კი მარტო ვარ ქვეყნად,
ვინ შემიბრალებს ვინა?“..

გული დამიმძიმდა. თვალწინ წარმომიდგა ლუკმაპურისთვის გაწვდილი პატარა შავი ხელები, ყუმბარების კვამლში გამოხვეული ვიეტნამელი ბავშვები...

რატომ? რატომ? რატომ? — არ მასვენებდა ფიქრი.

დიანა ოგოლაძე,
გალის შ. რუსთაველის სახელობის 1-ლი საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზა ბაწელაშვილი.

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე.

ჯეი ოიო

მოთხრობა

გალავანთან მუდამ ბიჭები დგანან: ოხუნჯობენ, ამბებსა ჰყვებიან, კამათობენ, ერთმანეთს ცხვირ-პირსაც ამტვრევენ, მაგრამ ისევ რიგდებიან.

გალავანი მაღალია. ქვის სქელი კედლები დაბზარულა. ზოგან ხვრელები გაუკეთებიათ ბიჭებს, შიგ ისე დაძვრებიან, როგორც დათვის ბელები სოროში.

მარცხნივ, გზის პირას, გუმბათიანი აგურის ეკლესია აზიდულა, რომელიც კოლმეურნეობას პურისა და სიმინდის საწყობად გადაუქცევია.

ზემოთ, კოშკში, ყარაული ჭაბა ზის. თვალები მუდამ მოწირპლული აქვს. თმა ალბათ არასოდეს დაუვარცხნია. მუხლებზე ძველი ყაიდის თოფი გადაუდვია. საყელომოხეული შინელი აცვია, ბიჭებს სულ ამას ეჩხუბება: ნუ ყვირით, ძილს ნუ მიფრთხობთო.

გალავნის შიგნით კოლმეურნეობის კანტორა და წისქვილია. ამ წისქვილს აქაურები „ცეცხლის წისქვილს“ ეძახიან, რადგან წყლით კი არა, ზეთის ძრავით მუშაობს. მეწისქვილეს ლევანა ჰქვია, რომელმაც მიხდის აღების მეტი არაფერი იცის; ამიტომ, როცა წისქვილს რაიმე უფუჭდება, შემკეთებელი ქალაქიდან ჩამოჰყავთ. ამასობაში დიდი დრო გადის, ხალხს კი ფქვილი სჭირდება, რომ პური გამოაცხოს. გაღმა სოფლებიდან მოდიან საფქვავით დატვირთული სახედრები, უკან მოსდევენ აღმა-დაღმა გზებზე სიარულით დაქანცული პატრონები, მაგრამ წისქვილის კარები დაკეტილი ხვდებათ.

— რა ამბავია, რა დაემართა წისქვილს, სად არის მეწისქვილე? — კითხულობს ყველაზე წინ მოსული.

— მეწისქვილე? — გარს ეხვევიან ბიჭები. — მეწისქვილე შინ არის, სძინავს.

— როგორ თუ სძინავს? — ბრაზდება მოსული.

— ლევანა გადააყენეს, მის მაგივრად ქიტესაა. ქიტესა ძილისგუდაა, დღისით წისქვილში სძინავს, ღამე — შინ. — იღრიჯებიან ბიჭები.

— ვერ მიმასწავლით მის სახლს? — ისევ კითხულობს გაღმელი გლეხი.

— როგორ ვერა, — ეუბნება კოტე, წინ მიუძღვის გლეხს და თან არიგებს: — ძალიან უჟმური კაცია ქიტესა, ზარმაცი და მყვირალა. არ შეგეშინდეს, მაგრად დაუდექი. შეიძლება ისიც კი გითხრას, მე არა ვარო მეწისქვილე, მაგრამ არ დაუჯერო.

იმედმოცემული გლეხი კოტეს მიჰყვება, უკან ბიჭების მთელი გროვა მისდევს.

— ეგე, ქიტესას სახლი! — ხელს იშვერს კოტე.

საღამოს ბინდბუნდში ბიჭები ღობესთან ატუზულან და სულგანაბულნი ელიან ქიტესას გამოჩენას.

— ჰაი, ქიტესავ! — ეძახის გაღმასოფლელი გლეხი. ერდოზე გადმოდგება გაბუსხული ქიტესა.

— ვინ იძახის, რომელი ხარ?

— მე ვარ, შენი ჭირიმე. უდროოდ გაწუხებ, მაგრამ რა ვქნა, მიჭირს, უნაფქოთა ვარ. უნდა დამიფქვა! — მობოდიშებით ეუბნება გლეხი.

— მერე, წისქვილში ვერ მიხვედი? აქ რა გინდა?! — ეკითხება გაკვირვებული ქიტესა.

— წისქვილი დაგიკეტია და...

— რა წისქვილი დამიკეტია! შენ ვინა გგონივარ? — ხმას უწევს ქიტესა.

— ქიტესა არა ხარ?! — ეკითხება გაკვირვებული გლეხი.

— მერე, რომ ვარ!

— ამაღამ ვერ დაიძინებ, სანამ არ დამიფქვავ! — იმუქრება გაღმასოფლელი და ეზოში შედის.

— შენ ჭკუაზე ხომ არ შეცდი? — ღრიალებს მოთმინებიდან გამოსული ქიტესა.

იმართება დავა და ჩხუბი. განრისხებული ქიტესა ერდოზე ბებერი ლომივით ბდღვინავს.

— ვინ გამოგგზავნა ჩემთან? — ეზოში ჩამორბის ქიტესა და გლეხს პირისპირ უდგება.

— ვინა და, ბალღები იდგნენ გალავანთან, იმათ მომასწავლეს შენი ბინა.

— ვინა? — ერთბაშად ცხრება ქიტესა. მერე ოდნავ განზე დგება, მოსულს თავიდან ფეხებამდე ათვალიერებს.

დაბნეული გლეხი ჭიშკრისკენ იხედება, წასვლას აპირებს. უცებ ქიტესას ხარხარი აუვარდება. ორღობიდან ბიჭების სიცილი ისმის; გლეხი მუქარით მათკენ მიდის, მაგრამ ბიჭები სტვენითა და ყიჟინით გარბიან.

სიცილით დაოსებული ქიტესა ისევ ერდოზე ადის.

— რას იზამ, ეშმაკის ფეხები არიან, ეგ ცრუპენტელები, — დაყვავებით ეუბნება გაღმასოფლელ გლეხს და შინ შედის...

ქიტესას ერთი თეთრი ცხენი და ერთი სახედარი ჰყავს. ხან ერთი მეზობელი მიადგება, ხან მეორე, — სახედარი მათხოვე, ტყიდან შეშა მაქვს მოსატანიო. ქიტესა ალალი კაცია და ყველას ატანს სახედარს. მაგრამ ბიჭი ხარ და ცხენი სთხოვე! მაშინვე გადაირევა მოხუცი: წელი სტკივა და ორ კვირამდე არ მოურჩებაო, ყოველთვის მტკიცე უარით ისტუმრებს მთხოვნელს. არავის ახსოვს, რომ ქიტესას ცხენისთვის საპალნე აეკიდოს ან საზიდარში შეებას. ერთი გაჩვენათ, თეთრ ცხენზე ამხედრებული ქიტესა, სტუმრად რომ მიდის: მსხვილულვაშგადაგრეხილს გაპრიალებული აზიურები აცვია, ვერცხლის ქამარი შემოურტყამს და კეფაზე თუშური ქუდი მიუტყეპებია, სარგადაყლაპულივით გაჭიმული ზის ცხენზე და მიაგელვებს. დროული დედაკაცები ქოქოლითა და წყევლით აცილებენ: ეს თავმკვდარი ბიჭობას არ იშლისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც რომ პატარა ბიჭივით არის ქიტესა: პატარა სიხარულზე სიცილით იგუდება და პაწია წყენაზე რისხვით ინთება.

— ბიჭო! — ქუხს ხოლმე ქიტესა, — ძველად ყაჩაღებთან მქონია საქმე, ისინი ვერ მიბედავდნენ წყენას და შენ როგორ მიბედავო.

ყველას უყვარს ქიტესა. ბიჭებს ისე უყვართ, რომ მუდამ იმაზე ფიქრობენ, როგორ გააბრაზონ თაფლივით ტკბილი მოხუცი. იგი მათს ოინებზე ანჩხლობს, ბრაზდება, გაებუტება კიდეც, მაგრამ ვერც ბიჭები სძლებენ უმისოდ და ვერც ქიტესა უბიჭებოდ. ქიტესა არიგებს უმაწვილებს, ცხოვრების სიბრძნეში ახედებს, იმათ კი ყველაფერი ავიწყდებათ. ამიტომ მოხუცი ყველას თავქარიანს ეძახის.

ზაფხულია. ბიჭებს საქონელი მიუდით საძოვრებზე. საამო სანახავია აქაურობა. მთები და ხეობები მწვანე ტყით შემოსილა. ღელეებში წყალი მოდგაფუნობს, მდელოები ათასფერად აჭრელებულა. ბიჭები წყალს აგუბებენ ხევში და შიგ ყირა-ყირა ხტებიან. ქიტესაც მათთან არის, თავისი ცხენითა და სახედრით. ჩრდილში ზის და ყალიონს აბოლებს.

— ბიჭო, კოტე, ტინის თავიდან ნუ ხტები, კისერი არ მოიტეხო! — აფრთხილებს მოხუცი.

კოტე კუნთმაგარი ბიჭია, არაფერისა არ ეშინია, მოხუცის შენიშვნაზე განგებ კიდევ უფრო მაღალი ტინიდან ხტება.

— ნუ ამომიგდეთ გული საგულედან! — ბრაზობს ქიტესა, თუმცა ძალიან მოსწონს ბიჭების გამბედაობა.

შუადღისას ქიტესა იძინებს. ბიჭებიც ამას ელიან: ორ გუნდად იყოფიან, სახედრებზე ამხედრდებიან და იწყებენ თამაშს — ხის ხმლებით ერთი გუნდი მეორეს ებრძვის. მათი ყიჟინა არემარეს აყრუებს. მაგრამ მოხუცის ბებერ ყურებს რომ არაფერი ესმის! იციან ეს ბიჭებმა და არხეინად გაჰკივიან.

— შეჩერდით, შეჩერდით! — ყვირის კოტე.

— რა მოხდა? — კითხულობენ გაკვირვებული ბიჭები.

— ქიტესა პაპას სახედარს ყურში ხმალი მოვარტყი! — ამბობს შეწუხებული კოტე.

ბიჭები გარს ეხვევიან სახედარს, რომელსაც ყური კინკილაზე ჰკიდია და სისხლი კისერზე მოჟონავს.

კოტე მძინარე მოხუცისაკენ იყურება და რაღაცას გადაწყვეტს.

— მე ახლავე მოვალ! — ეუბნება ბიჭებს და შინისკენ გარბის.

სულ მალე აქოშინებული ბრუნდება. ხელში მახათი, ძაფი და სანთელი უჭირავს. ძაფს გასანთლავს და მახათზე აგებს.

— თავი მაგრად დაუჭირეთ!

გაოცებული ბიჭები სიტყვაშეუბრუნებლად ასრულებენ კოტეს ბრძანებას.

კოტე მახათით სახედრის ყურს ადგილზე აკერებს. ტკივილისაგან გამწარებული პირუტყვი თავს აქეთ-იქით აქნევს, მაგრამ ბიჭებს მაგრად უჭირავთ.

კოტე ყურის გაკერვას ამთავრებს.

— ტალახი მოიტანეთ ხევიდან!

ომარს მუჭით მოაქვს ტალახი, კოტე მას ნაკერზე უსვამს.

— კვალი წაშლილია! — თვალის ჩაკვრით ამბობს კოტე.

— ყოჩაღ, კოტე! — ყიჟინებენ ბიჭები.

— ხომ არაფერი მომხდარა? — კითხულობს გამოღვიძებული ქიტესა და შეჯგუფებულ ბიჭებს აკვირდება.

ბიჭები ნაძალადევად ღიმებიან... მოხუცი გვერდს იცვლის და ძილს აგრძელებს.

მეორე დღეს ქიტესას სახედარი თავჩაქინდრული და დაღვრემილი ხვდება. უყურებს ქიტესა და ვერაფერი გაუგია.

მესამე დღეს სახედარი კვლავ არაფერს ჭამს.

„რა მოუვიდა ამ უბედურს!“ — ფიქრობს მოხუცი.

მეოთხე დღეს პირუტყვს ყურზე ტალახი სძვრება და ქიტესა ნაკერს ამჩნევს, კარგად სინჯავს: ყური გაკერილია. გაოცებულია მოხუცი.

„ვინ გაუკერა ყური?“ — თავს იმტვრევს ქიტესა.

...ორი კვირაა არ ელაპარაკება ქიტესა ბიჭებს. გაიგო ვინც იყო მისი სახედრის „ქირურგი“...

ყველაზე ადრე კოტეანთსას ხუთი წლის ლია იღვიძებს, მერე დედა და ბებია დგებიან. თმახუჭუჭა ლია დედას ხელს უშვერს და ეკითხება:

— ეს რა თითია?

— ცერი.

— ესა?

— ნეკი.

— ესა?

— ეს შუათითია.

— მე რომელი თითი ვარ?

— აი, ეს! — ნეკს უჩვენებს დედა.

— გია, მაია და სიმონი?

— აი, ესენი! — ლიას დანარჩენ სამ თითს დაანახვებს რუსუდანი.

ლია ახლა ბებიასთან გარბის, კაბის კალთაზე ეგლაუჭება, ეხვეწება, კომშის ტოტზე ჩამობმულ საქანელაზე მაქანავეო.

— გამარჯობა, მართა! — ეზოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უახლოვდება ცხენზე ამხედრებული ქიტესა, სახედარი საბელით უჭირავს და ულვაშებში იღიმება. — ქირურგი შინ არის?

— ვინაო? — შეიცხადებს მართა ბებია.

— კოტეზე გეკითხები! — იცინის ქიტესა.

— სძინავს, ახლავე გავაღვიძებ! — ოთახში შერბის დედაბერი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნახევრად ღია კარიდან მალულად იჭყიტება კოტე.

— გამოდი, გამოდი, აღარ გიბრაზდები! — ეძახის ქიტესა.

თავჩაქინდრული კოტე აივანზე გამოდის.

— ბალახის სათიბად მივდივარ, ახოებში. გამომყვები, თუ მარტო წავიდე? — ეუბნება ქიტესა.

— წამოვალ! — თვალები უბრწყინდება კოტეს.

სულ მალე, ცხენსა და სახედარზე ამხედრებულნი ტკბილი ბაასით ახოებისაკენ მიდიან.

— სკოლას რომ დაამთავრებ, აუცილებლად საექიმოზე შედი, დახასიათებას მე დაგიწერ! — ხარხარებს ქიტესა. — ყური ისე კარგად შეუხორცდა სახედარს, რომ გამოცდილ ქირურგსაც კი შეშურდება შენი.

კოტეს იცინება, მაგრამ თავს იკავებს. ქიტესა კი ენაწყლიანობს, ახალ-ახალ ამბებს ჰყვება, უკვირს ბიჭის დადინჯება.

მოხუცის ოხუნჯობაში გზაც ილევა. ცხენსა და სახედარს საბალახოდ უშვებენ და სამუშაოს ინაწილებენ.

— მე გავთიბავ, შენ კი თივა შეაგროვე! — ეუბნება ქიტესა კოტეს, ქოხიდან ცელი გამოაქვს, ლესავს და თიბვას იწყებს. კოტე წინა დღისით გათიბულ, გამხმარ ბალახს ხაჩაკელით აგროვებს და პატარ-პატარა კვირტებად სდგამს.

ნასადილევს მოხუცს თვლემა ერევა, ჩრდილში წვება და იძინებს. კოტე მარტოდმარტო ზის, ხან ბალახებისაგან გვირგვინებსა სწნავს, ხან კიდევ იფნის ტოტისაგან სტვირს აკეთებს. მერე ესეც სწყინდება.

ირგვლივ ტყეა, ყოველივე გარინდულა, ხეთა ჩრდილში ცხენი და სახედარი თავის კანტურით ბუზებს იგერიებენ.

„რა იქნება, ცხენით რომ გავისეირნო?“ — ფიქრობს კოტე.

„არა, ქიტესა პაპას ეწყინება“. — განზრახვას უკუაგდებს და მძინარე მოხუცს აკვირდება.

„სულ ხუთი წუთით გავაჭენებ“.

კოტე დგება, ცხენთან მიდის, ეფერება და თითებით ფაფარს უვარცხნის.

„რაც არის, არის, უნდა გავაჭენო“. — კოტეს აღვირი მოაქვს, ლაგამს პირში უდებს და გაჭირვებით მოაჯდება ზურგზე. ჯერ ნაბიჯით მიჰყავს, მერე ჩოჩორთით, მაგრამ არ მოსწონს ნელი სვლა. წკეპლას გადაჭკრავს და ცხენი ადგილიდან შურდულივით სწყდება. კოტე მაგრად ეკვრის ზურგზე, მუცელზე ფეხებს უჭერს, აღვირს მთელი ძალითა ქაჩავს, მაგრამ ცხენს ველარ აჩერებს, იგი უკვე ქარივით მიჰქრის.

„ვაიმე ეს რა ჩავიდინე?! — ფიქრობს შეშინებული კოტე. — თუ გადმომაგდო, შეიძლება ცოცხალი ვერ გადავრჩე. არა, ვერ გადმომაგდებს. დაიღლება, დაიქანცება და თვითონვე გაჩერდება“. —

მარცხნივ თავდაღმართი იწყება. ცხენი თუ იქით წავიდა, კოტე დაიღუპება, შეიძლება ცხენიანად კლდეზე გადაიჩეხოს. ბიჭი ორივე ხელით აღვირს მარჯვნივ ქაჩავს. ცხენი სწრაფად უხვევს და კინაღამ მხედარს ბურთივით მიწაზე ისვრის. კოტე ისე მაგრად უჭერს ცხენს მუცელზე ფეხებს, რომ ტკივილს გრძნობს.

წინ მთის კალთებია, ცხენი თანდათან სისწრაფეს უკლებს; გრძნობს კოტე, რომ ცხენს უკვე სუნთქვა უჭირს, მაშასადამე, დაიღალა...

თითქმის მთის წვერზე ცხენი ჩერდება. კოტე ქვევით იხედება, მაგრამ ვერაფერს ხედავს, თავბრუ ესხმის, გული ერევა, საფეთქლები უხურს, თავით-ფეხამდე გაოფლილია.

უკან მოაბრუნა ცხენი. ძალაგამოლეული ძლივს იმაგრებს თავს მის ზურგზე. დაღმართი და ტყე თავდება და იწყება ღიღილოებით აჭრელებული ნაცნობი ველი.

შუა მინდორში სიბრაზისაგან გაფითრებული ქიტესა დგას.

— ეს რა გიქნია, კინაღამ თავიც მოგიკლავს და ცხენიც, — ბობოქრობს მოხუცი.

კოტე დუმს, კრიჭა შეკვრია, თვალები მიწისათვის მიუბჯენია...

მზე გორაკებს ეფარება. ბინდდება. კოტე შინისაკენ მილასლასებს. გზის პირზე სიმინდები დაზრდილან, მწვანედ ბიბინებენ, ტაროები დამსხვილებიათ. საღამოს სიო შარიშურით აქანავებს ფოთლებს.

სიმინდებიდან ძახილი ესმის:

— შენ, ეი, ცოტახანს ფეხი შეაყე!

კოტე იქით იყურება, საიდახაც ხმა ესმის და ხედავს, რომ ვიღაცა ხელის ქნევით მოდის. როდესაც მოახლოვდა, იცნო — ჭაბა იყო.

— ოჰ, კოსტა ქირურგო, შენა? — უშნოდ იღიმება ჭაბა და ღოჯიან კბილებს აჩენს.

— რა გარდიგარდმო უვლი ამ სიმინდებს, ტაროები ხომ არ მოგენატრა?

კოტე უსიტყვოდ აგრძელებს გზას.

— შენ გეუბნები, შენა! — ხმას უწევს ჭაბა. — ერთი ტაროც რომ ვნახო მოტეხილი, შენა და შენს ძმაკაცებს სახრით დაგალილავებთ!

„მაშ ბიჭი არ ვიყო, თუ ამაღამ ოინი არ გიყო“. — იქადნება გულში კოტე და ნაბიჯს აუჩქარებს.

ღამე ქურდულად ეპარება სოფელს, ციხის გალავანთან ისევ იყრიან ბიჭები თავს. გალავნის თავზე ციხისთავივით დააბიჯებს ჭაბა და თავისთვის ღიღინებს. კედელზე გრძელი ხის კიბეა მიყუდებული, რომლითაც ჭაბა კოშკში ადის ხოლმე და დასაძინებლად იმზადება.

ბიჭები ფანტს თამაშობენ.

— ამის პატრონმა რა გააკეთოს? — იძახის სოსო.

— მაგის პატრონმა? — ჩაფიქრებით ამბობს კოტე და ზევით იყურება.

— წადით შინ! — სახლი არა გაქვთ, პატრონი არა გყავთ?! — დაჰყვირით ზემოდან ჭაბა

— მაგის პატრონმა? — ისევ იმეორებს კოტე და ხმადაბლა დასძენს: — მაგის პატრონმა ამაღამ ჭაბას კოშკიდან ჩამოსასვლელი კიბე მოუხსნას და გადამალოს.

სოსოს ქუდიდან ნიშანი ამოაქვს.

— ვისია?

— ჩემია, მე შემხვდა! — იღიმება კოტე. — სოსო, შენც უნდა მომეხმარო, კიბე მძიმეა, მარტო ვერ დავძრავ.

— მეც მოგეხმარები! — იძახის ომარი.

— ჩვენც! — იძახიან ბიჭები.

— თქვენ არა ხართ საჭირო, ამ საქმეს ჩვენ მოვუვლით! — ამბობს კოტე.

დილაადრიან სოფელს ჭაბას ყვირილი აღვიძებს:

— ხალხნო, ადამიანები არა ხართ, მიშველეთ!

ჭაბა გაშმაგებით იქნევს ხელებს, სახე შეშლილს უგავს.

ცნობისმოყვარე ხალხი გალავანთან იკრიბება; სახლებიდან თვალების ფშვნეტით ბიჭები გამორბიან.

— რას მომჩერებიხართ, მიშველეთ! — იხვეწება ჭაბა.

— რა გიშველოთ, შე უბედურო! — უკიჟინებს ქიტესა.

— ძირს ჩამომიყვანეთ! — კიდევ უფრო ძალიან ემუდარება ჭაბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რით ჩამოგიყვანოთ, სად არის კიბე?

— ვიღაცამ მომპარა!

— რატომ თავი არ მოგპარა? ვინ ჩაგაბარა შენ ხალხის ქონება? — ცხარობს ქიტესა და ბიჭებისაკენ ალმაცერად იყურება.

ვიღაცას თოკი მოაქვს, ზედ ქვას აბამენ და მაღლა ისვრიან. ჭაბა გალავნის ქონგურზე მაგრად ამაგრებს თოკის წვერს და კედელზე სოსას ვაჟი გოგია ადის.

გოგია ჭაბას თოკს წელზე აბამს და ნელ-ნელა ძირს უშვებს.

ქიტესა თვალებს უბრიალებს ბიჭებს:

— საღამოზე კიბე ისევ თავის ადგილზე ეყუდოს! — ბრძანების კილოთი ამბობს და შინისკენ მიდის.

ხალხი იშლება.

„ქიტესა პაპამ ყველაფერი იცის და მაინც არ გაგვცა!“ — ფიქრობს კოტე. ბიჭებს განზე იხმობს, საიდუმლოდ რაღაცას ეუბნება. მერე ყველანი სახლებში მიდიან...



კოტეანთსას დიდი ფუსფუსია. მართა ბებია დღეს პურის გამოცხობას აპირებს.

— შენს გაზრდას, კოკით წყალი ამომირბენინე! — ეუბნება ბებია კოტეს.

— არა მცალია! — მიუგებს კოტე და მაგიდაზე რაღაცას ეძებს.

მართა წყალზე მიდის. პატარა ლია, მაია, გია და სიმონი ხტუნვა-ხტუნვით უკან მისდევენ.

ბავშვები თამაშის გუნებაზე არიან.

— ვიწუწაოთ! — იძახის სიმონი.

— ვიწუწაოთ! — გამომწვევად უპასუხებს ლია.

— მე და გია ერთად ვიქნებით! — ამბობს სიმონი.

— მე და მაია — ერთად! — ლია გვერდში ამოუდგება მაიას.

ბავშვები ერთიმეორეს დასდევენ, აუზიდან პეშვით წყალს იღებენ და ერთმანეთს ასხამენ.

— მიშველე, ბებია! — ყვირის გალუმპული ლია.

— არ გაცივდეთ, წყალი ცივია! — ბავშვებს შინისაკენ მიერეკება მართა.

— კოტე, თონის გასახურებლად ფიჩხი დაგვიჭერი! — ეზოდან იძახის რუსუდანი.

— არა მცალია, არა! — შუბლს იჭმუხვნის კოტე, აივნიდან ჩამოდის და ქუჩაში გადის.

— სად მიხვალ? — ეძახის განაწყენებული რუსუდანი.

— საქმე მაქვს! — უკანმოუხედავად უპასუხებს კოტე და გარბის...

— რაც მაგის მამა ცხვარს გაჰყვა მთაში, გაგარეულდა, აღარ გვიჯერებს! — ჩივის მართა ბებია.

გრილ დილას შუადღის სიცხე სცვლის.

გახვითქული ბიჭები თავქვე მორბიან, მიდამოს ზვერავენ. ანწლითა და მაყვლით დაბარდნილ შამბნარიდან ჭინჭრით დასუსხული ჭაბა გამოდის, ბოროტად უყურებს ბიჭებს, დასუსხულ ხელებს ხევის წყალში იბანს და გალავნისაკენ მიდის.

„კიბე ვერ იპოვნა, — ფიქრობს კოტე. — თუმცა, როგორ იპოვნის, ისეთ ადგილზეა დამალული, ეშმაკიც ვერ მიაგნებს“.

სოსო და ომარი კოტეს ნიშანს ელოდებიან. კოტე კი არ ჩქარობს, ჭაბას შინ წასვლას უცდის.

ცხელა. ირგვლივ კაციშვილი აღარ ჭაჭანებს.

ბიჭები ვერხვის ჩრდილიდან გამოდიან, ხტუნვა-ხტუნვით ფერდობზე ჩადიან და ბარდებიდან გადამალული კიბე გამოაქვთ.

კიბე წიფლის ხისაა, მძიმეა, ძლივს მიაქვთ ბიჭებს.

მოულოდნელად მანქანის პიპინი გაისმის. „მოსკვიჩი“ პირდაპირ მათკენ მოჰქრის.

მანქანაში კოტეს დედა ზის, გაფითრებული, უპეებჩაშავებული, თეთრად შეხვეული მარცხენა ხელი მარჯვენა ხელით უჭირავს.



„რა მოხდა?“ — ფიქრობს შეშფოთებული კოტე.

მანქანა მტვერში ახვევს ბიჭებს და გაღმა გადის.

აღელვებული კოტე შინისკენ გარბის.

აღმართს ერთი ამოსუნთქვით აათავებს, უკან ტოვებს ციხე-გალავანს, გარბის, რაც ძალი და ღონე აქვს.

ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად ხალხი დგას, ყველანი კოტეს აყოლებენ თვალს და სინანულით თავს იქნევენ.

ეზოში ქალები შექუჩებულან, მართა ბებიას ამშვიდებენ, ატირებულ ლიას აწყნარებენ და ეფერებიან. სიმონს, გიას და მაიას თვალებში ცრემლი უციმციმებთ, ბებიას კალთაზე ეკვრიან.

კოტე ეზოში შედის და სულმოუთქმელად კითხულობს:

— რა მოხდა, ბებია?

— დედაშენმა თითი მოიჭრა! — საყვედურით ამბობს შუბლშეკრული მართა და ბავშვები აივანზე აჰყავს.

კოტე უნებურად თორნისაკენ მიდის, სადაც კუნძის გვერდით ცული გდია...

მთელი საღამო მუნჯივითა დგას კოტე აივანზე, ბავშვებიც უსიტყვოდ სხედან განიერ ტახტზე. მართას მეზობელი ქალები ეხმარებიან პურის გამოცხობაში.

ახალგამომცხვარი პურის სუნით მადააშლილი ბავშვები ეზოში ჩადიან, ცხელ-ცხელი ლავაშებით ილუკმებიან. კოტეს შია, მაგრამ აივნის სვეტთან მიწებებულივითა დგას, კრინტი ვერ დაუძრავს, ნაბიჯი ვერ გადაუდგამს, თონისაკენ გახედვაც კი ვერ გაუბედავს, თვალები აწყდება გზისკენ ყურებით...

— ბებია, თავი მტკივა! — ნამტირალევი ხმით ამბობს ლია.

— აბა, სად, შვილო? — ეფერება მართა შვილიშვილს.

— აი, აქ! — საფეთქლებზე ხელებს იდებს ლია.

მართა ხელისგულით შუბლსა და ლოყებს უსინჯავს ლიას.

— უი, მომიკვდეს თავი! ბავშვი სიცხით იწვის! — კივის მართა. ეზო ისევ მეზობლებით ივსება, ლიას საჩქაროდ ლოგინში აწვენენ და სიცხეს უზომავენ.

— რამდენი აქვს? — კითხულობს მართა.

— ორმოცი და სამი ხაზი!

— ვაი ჩემს თავს! — მუხლებზე ხელებს იცემს მართა. — გამიცივდა ბავშვი, დღეს დილით მთლად სველი იყო. ექიმი, ჩქარა ექიმი მოიყვანე, კოტე!

კოტე ექიმის მოსაყვანად გარბის.

„ნეტავი შინ დამხვდეს ექიმი!“

— გიორგი ძია მინდა! — ჭიშკრის შეღებისთანავე იძახის კოტე.

— ფერმაში წაიყვანეს, მწყემსი გამხდარა ავად! — ეუბნება კოტეს გიორგის მეუღლე ნატა. — კიდევ ცუდი ხომ არაფერი მოხდა?

— ლია გაგვიხდა ავად, დიდი სიცხე აქვს! — სასოწარკვეთით ამბობს კოტე და ისევ ქუჩაში გამოვარდება.

„რა ვქნა?“

„ექიმი აუცილებლად უნდა მოვიყვანო, მაგრამ რანაირად? ჩვენი კოლმეურნეობის ფერმამდე დიდი მანძილია, თანაც უკვე ღამდება“.

„არა, რაც არ უნდა მოხდეს, უნდა წავიდე დიდ გორებში და ექიმი ჩამოვიყვანო“.

„რითი წავიდე, ფეხით დილამდე ვერ მივალ“.

„ქიტესა პაპას ცხენი!“ — ახსენდება კოტეს.

„არ მათხოვებს, ნაწყენია ჩემზე“.

„უნდა მოვიპარო!“

მალე სოფელი იძინებს. კოტე ქიტესას სახლს უარაულობს. ბოსტნის ბოლოს, საბძელთან, თოკით დაბორკილი თეთრი ცხენი სძოვს ბალახს. კოტე ღობეზე გადადის, საბძლის ბოძიდან აღვირს ჩამოიღებს, ცხენს ფეხებზე თოკს ხსნის და ფრთხილი ნაბიჯით, ეზოს გავლით, ქუჩაში გაჰყავს...

ღამის სიჩუმეს ცხენის ფლოქვების ხმა აპობს. ექო ღელეებში იკარგება. პატარა მხედარი თავგამეტებით მიაჭენებს ბედაურს. გზა ხან მინდორზე, ხანაც ყლდეების თავზე გადის. ნამგალა მთვარე ძლივს ანათებს გორებსშუა დაკლაკნილ გზას.

მთა მთაზე გადაგრეხილა, შუაში კი დიდი ტაფობია, ვრცელი მინდორი ვერცხლისფერი ბურუსით დაფერილა. სადღაც შორს, თეთრ ღამეში, შავ ლაქასავით მოჩანს კოლმეურნეობის ფერმა. ფერმაში ერთადერთი შუქი ანთია, რომელიც შორიდან პატარა ვარსკვლავივით კიაფობს.

— მივედით, მივედით! — სიხარულით ყიჟინებს კოტე. ცივი ნიავი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქოჩორს უწეწავს, გახურებულ შუბლსა და ლოყებს უგრილებს.

მის შესახვედრად ქოფაკები გამორბიან ყეფითა და გნიასით, უკან ჯოხის ტრიალით მწყემსი მოსდევთ.

— ექიმი აქ არის? — სულმოუთქმელად კითხულობს კოტე.

— აქ არის! რა მოხდა?

კოტე სხაპასხუპით უყვება ყველაფერს.

...ათიოდე წუთი და, ორი მხედარი სოფლისაკენ ბედაურებს მიაგელვებს...

ცაზე ვარსკვლავები სათითაოდ ქრებიან. ცის ტატნობზე ჯერ კიდევ მოჩანს ფერმკრთალი მთვარე...

თენდება. სოფელი იღვიძებს.

ეზოებში ბოჩოლები და ზაქები დაკუნტრუშობენ. ჭიშკრები ცრიალით იღება. მენახირე ძროხებს საბალახოდ მიერეკება.

ქიტესას სახლის წინ რამდენიმე გლეხი შეკრებილა; მოხუცს სიბრაზისაგან სახეზე ძარღვები ასკდება, მუქარით ჰაერში იქნევს თოკს, რომლითაც მისი ცხენი იყო დაბორკილი.

— ვინ მომპარა? ვინ დამღუპა და დამაქცია! — ყვირის ქიტესა.

უცებ, მოულოდნელობისაგან ენა დაებმება.

გზაზე კოტე მოდის, ცხენით, ხელში სადავეები უჭირავს. ცხენი ღრმად სუნთქავს, ნესტოები დაბერვია, ისეა გალუმპული, თითქოს ოფლის მდინარეში გაებანოთ.

„მოუკლავთ ცხენი ბიჭებს მთელი ღამე ჭენებით!“ — ფიქრობს ქიტესა და რისხვით ინთება.

— ქიტესა პაპავ! — ძლივს ამბობს კოტე.

— არაფერი მითხრა! — აწყვეტინებს ქიტესა და სილას გაარტყამს.

კოტე ენაჩავარდნილივით შეხედავს მოხუცს, უკან ბრუნდება და შინისაკენ თავჩაღუნული მიდის.

მთელი დღე კოტეს სახლში დიდი დაძაბულობაა. ყველას პატარა ლიას ავადმყოფობა აშფოთებს. რუსუდანს საკუთარი ტკივილი დავიწყნია, ავადმყოფს სასთუმალთან უზის და ერთი წამითაც არ შორდება. ექიმი გიორგი ორ საათში ერთხელ ნემსს უკეთებს ბავშვს, წამალს ასმევს და სიცხეს უზომავს. ბავშვი ღრმად სუნთქავს, უაზროდ მისჩერებია ჭერს, ლოყები ასწითლებია და ხელი დედისათვის ჩაუბღუჯავს.

უკვე მთელმა სოფელმა იცის ლიას ავადმყოფობის ამბავი. მოდის ხალხი, ზოგი ეზოში დგას, ზოგი ქუჩაში.

ბერიკაცებში ქიტესაც დგას. არასოდეს უნახავს კოტეს იგი ასე დაღვრემილი, ასე დაბერებული და წელში მოხრილი. დღეს პირველად შეამჩნია კოტემ, რომ ქიტესა პაპა მართლა დაბერებულა.

ღობეზე ჭაბა მიყუდებულა, დროდადრო ხვნეშის, სახელოთი ცრემლს იმშრალებს.

ბიჭები ყველანი მოსულან, კოტეს თვალებში შეჰყურებენ.

— კოტე, ბიჭო, — ლუღლუღებს ქიტესა. — მაპატიე, შვილო! შევცდი, არ ვიცოდი... მერე გავიგე... რატომ ეს ხელი ძირში არ მომტყდა, სანამ შენ გაგარტყამდი! — ბუხუნებს მოხუცი და კოტეს გულში იკრავს...

საღამოს ლიას სიცხე ნელ-ნელა უნელდება. გოგონა გონზე მოდის, ჯერ ექიმს, მერე დედას აკვირდება და წყალს ითხოვს.

— გადარჩა! — იმედიანად ამბობს ექიმი.

„გადარჩა!“ — ამ სიტყვას ერთმანეთს სიხარულით გადასცემენ ეზოში შეკრებილი მეზობლები და შეწუხებულ სახეებზე ნათელი მოეფინებათ. ბიჭები იღიმებიან და კოტეს გარს ეხვევიან. ქიტესა წელში სწორდება, პატარა ბიჭივით იცინის, ჭაბას ზურგზე ხელს უტყაპუნებს: როგორ იყო ბიჭებმა უკიბოდ რომ დაგტოვესო?

კოტე ოთახში არბის. რუსუდანი ლიას სასთუმალთან უზის, თმებს თითებით უვარცხნის.

— კოტე! — ლია დიდი თვალებით აკვირდება ძმას, მერე მზერა რუსუდანის შეხვეულ ხელზე გადააქვს და კითხულობს:

— კოტე რომელი თითია, დედა?

— ცერა თითი, შვილო! — იღიმება რუსუდანი.

— რომ აღარა გაქვს?.. ხომ გაგეზრდება, დედა?

— კი, შვილო, გამეზრდება! თქვენა ხართ ჩემი თითები, ჩემი ხუთი თითი, დაიზრდებით, მერცხლებივით გაფრინდებით!..

კოტეს თვალებიდან ცრემლი კურცხალ-კურცხალ სწყდება.

ეს სიმწრისა და სიხარულის ცრემლებია.

კასკადერი

პეტრე ტიმოფეევი — კასკადერია, ე. ი. დუბლიორი, რომელიც მსახიობის მაგიერ ვარდება ცხენიდან, რომელსაც ისვრიან ფანჯრიდან, აგდებენ უფსკრულში...

პეტრე ტიმოფეევი 120 კინოსურათშია გადაღებული. ეს ფილმებია: „მამაცი ადამიანები", „გაქცევა", „პან ვოლოდიევსკი", „უდაბნოს თეთრი მზე", „კოჩუბეი", „უკანასკნელი რელიკვია", „ვატერლოო" და სხვები.

ფილმში — „რესპუბლიკის მონაპოვარი" — მსახიობ ოლეგ ტაბაკოვს (მთავარი გმირი) მეტისმეტად ხალვათი ხალათი აცვია. ეს იმიტომ, რომ ტიმოფეევი, რომელიც მის მაგივრად ცხენიდან გაქანებული ფურგონის სახურავზე ხტება, ტაბაკოვზე უფრო სქელია და ბეჭებშიც უფრო განიერი.

ტიმოფეევი ამბობს:

— რისკი ჩემთვის პროფესიონალობის საქმეა. მაგრამ ეს პროფესიონალობა ერთბაშად როდი ჩნდება. ამისათვის ხანგრძლივი და დაუზარელი ვარჯიშია საჭირო.

როგორ გახდა თვითონ პეტრე კასკადერი?

1944 წელს ქ. ორჯონიკიძეში ცნობილმა ჯიგიტმა ალი-ბეკ კანტემიროვმა აიყვანა მცირეწლოვანი ტიმოფეევი და დაუწყო წვრთნა საცირკო ხელოვნებაში.

ტიმოფეევი ცირკში ჯიგიტობის ნომრით გამოდიოდა. შემდეგ ვიღაცამ გაუწია რეკომენდაცია კინოში გადასაღებად და...

კინოსურათ „კოჩუბეიში" ცხენზე მჯდომი ადიუტანტი ეწევა გაქანებულ მატარებელს და უნაგირზე შემდგარს ვაგონის ფანჯრიდან გადმოჰყავს თავისი მეთაური.

ეს ტრიუკი ეკრანზე სულ დიდი-დიდი 15 წამი გრძელდება. ორი თვე ამზადებდნენ ცხენს. ტიმოფეევი აიძულებდა ცხენს დასწეოდა გაქანებულ მატარებელს და, როცა ცხენი მატარებელს უსწორდებოდა, ტიმოფეევი ვაგონის ფანჯარაზე ხელს ურტყამდა. შეშინებული მგზავრები ფანჯარას სცილდებოდნენ. მატარებლის გამცილებლები კი მუქარით უქნევდნენ გასაღებს. ტიმოფეევი არას დაგიდევდათ ამ მუქარას, იგი სისტემატურად ეწეოდა მატარებლებს, და ორი თვის მანძილზე რკინიგზის ამ ხაზზე მომუშავე გამცილებლები მას მიეჩვივნენ კიდეც.

და აი დადგა ამ ტრიუკის გადაღების დღეც. ტიმოფეევი (ადიუტანტი) დაეწია მატარებელს, შეამტვრია ვაგონის ფანჯარა და კოჩუბეი (ცხადია, დუბლიორი — ტიმოფეევის ძმა) ვაგონიდან თავის ცხენის კისერზე ჩამოასკუპა. ტიმოფეევმა ეს ტრიუკი ორჯერ გაიმეორა.

იუგოსლავიურ ფილმ „ოლეკო დუნდიჩში" ტაჩანკა, რომელზეც ტიმოფეევი ზის, ორჯერ გადატრიალდება ჰაერში და სწორედ ამ დროს მას „ჭურვი" ხვდება. აფეთქებული ტაჩანკა ნამსხვრევებად ქცეული ცვივა მიწაზე. ეს კადრი მსოფლიო კინოს კლასიკურ კადრად იქცა.

ჩვეულებრივ, პეტრე თვითონ უკეთებს ორგანიზაციას ტრიუკს. ჩაარჭობს ყვავილს იმ ადგილზე, სადაც აქლემი უნდა გადააბრუნოს, ამოწმებს რბილად არის თუ არა საფენი დაგებული იმ ადგილზე, სადაც ის საიდანმე გადმოვარდნილი ან გადმოგდებული უნდა დაეცეს...

ხშირად კასკადერებს სპორტსმენებს ადარებენ. ტიმოფეევის აზრით, ეს ქებაა სპორტსმენისა. ერთხელ მან ასე უთხრა ცნობილ მოკრივეს აგეევს:

— კეთილი, მე მესმის, რომ ძნელია მარცხენა ხელით ბრძოლა. ეს ყველას არ შეუძლია, მაგრამ შენ როდისმე გადაგიტრიალებია აქლემი უდაბნოში?

მას ეს ტრიუკიც გაუკეთებია. ალბათ, მსოფლიო კინოს ისტორიაში პირველმა ტიმოფეევმა კინოფილმ „გადამწყვეტი ნაბიჯის" გადაღებისას ზედ მჯდომმა პირველად წააქცია აქლემი და მასთან ერთად ქვიშაზე დავარდა.

დღეისათვის ტიმოფეევს იმდენ ფილმში მონაწილეობისათვის იწვევენ, რომ შეუძლია თვითონ აირჩიოს რეჟისორები. მას არ უყვარს რეჟისორები, რომლებიც მის საქმეში ჩარევას და ტრიუკის გადაღების ხელმძღვანელობას ცდილობენ. მსახიობთაგან კი განსაკუთრებული სიმპათიით იმათ უცქერის, ვისაც თვითონ შეუძლია ზოგიერთი ტრიუკის გაკეთება — ე. ი უდუბლიოროდ მუშაობა. ასეთნი არიან სერგეი გურზო, ალექსანდრე სუსნინი, ვლადიმერ ივაშოვი...

საცხენოსნო ტრიუკების გარდა ტიმოფეევი კასკადერის ჩვეულებრივ სამუშაოსაც ასრულებს — ხტება ხიდიდან და ჰაერშივე ისვრის მაუზერს, უფსკრულზე გაბმულ თოკზე მიცოცავს. ამას წინათ ერთ-ერთი ფილმის გადაღებისას იგი იპატიევის მონასტრის კედლიდან გადმოხტა.

— ყველაზე მეტად მიყვარს, თივაზე რომ ვეცემი, ხანდახან ქვიჩაზეც. მაგრამ ეს უფრო სახიფათოა. — ამბობს ტიმოფეევი.

ცნობილი ფრანგი კასკადერი ჟილ დელამარი, რომელიც ფეხსაცმლის ცარიელ კოლოფებზე დავარდნას არჩევდა, ამას წინათ, გადაღებების დროს დაიღუპა.

— მე ვერ მოვასწარი დელამარის გაცნობა, — ამბობს ტიმოფეევი, — მაგრამ მინახავს ეკრანზე მისი მუშაობა. აი, ვინ იყო ნამდვილი კასკადერი! და იმიტომ დაიღუპა. რომ, როცა ავტოკატასტროფის ექვსი დუბლი გააკეთა, მეშვიდედ იგივე ტრიუკის გამეორების სიამოვნების ცდუნებას ვერ დააღწია თავი. მე კარგად მესმის მისი. მეც ასეთი ვარ, მაგრამ, როგორც ჩანს, მე უფრო მაგარი ნერვები მაქვს.

ჟურნალ „იუნოსტიდან".

ეს ორი ფოტოსურათი დიდი პიონერული ზეიმის წინა დღეებშია გადაღებული. პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავთან დაკავშირებით, თბილისში, ვ. ი. ლენინის ძეგლთან, თავი მოიყარეს კალინინის სახელობის რაიონის პიონერებმა. პიონერული მოძრაობის ვეტერანებმა და პიონერებმა გვირგვინებით შეამკეს დიდი ბელადის ძეგლი. ითქვა მრავალი მგზნებარე, ამაღელვებელი სიტყვა. ეს დღე მუდამ ტკბილმოსაგონებლად გაჰყვება იმ 45 ოქტომბრელს, რომლებსაც იმ დღეს გაუკეთეს წითელი ყელსახვევი ადამიანებმა, რომელნიც პიონერული ორგანიზაციის არსებობის გარიჟრაჟზე იბრძოდნენ დღევანდელი ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ჟურნალისტიკა დაკვირვებანი

მდინარის ზომეკერაზურის გაზომვა

დაკვირვებისათვის გამოყენებულია წყლის ტემპერატურის გასაზომი რკინისჩარჩოიანი თერმომეტრი. ასეთ თერმომეტრს 0.2°-იანი დანაყოფები აქვს. (იხილე ნახატი).

დაკვირვების ჩასატარებლად ადგილი ნაპირთან ახლოს უნდა შევარჩიოთ, სადაც წყალს დინება აქვს. პატარა სიღრმის მდინარეში თერმომეტრს წყალში შვეულად ვდებთ,

დაახლოებით 15-20 სმ-ის სიღრმეზე და ვაჩერებთ 5-8 წუთს. ანათვალს ავიღებთ 0.0°-ის სიზუსტით, ისე, რომ თერმომეტრი შვეულად გვეჭიროს და თვალით თარაზულად შევხედოთ სინდიყს.

თუ მდინარის სიღრმე 10 სმ-ზე ნაკლებია, მაშინ თერმომეტრს ფსკერზე დავდებთ, 5-8 წუთს გავაჩერებთ და ანათვალს ისეთივე წესით ავიღებთ, როგორც პირველ შემთხვევაში.

მდინარის სიჩქარის გაზომვა

სიჩქარეთა გასაზომად მრავალი ხერხი არსებობს, მათ შორის მოგზაურობისათვის ყველაზე უფრო მოხერხებული ტივტივებით გაზომვაა. ტივტივა ძირითადად გამომშრალი ხისაგან მზადდება, მისი დიამეტრი 5-20 სმ-ია, სიმაღლე — 3-5 სმ. ზომა მდინარის სიდიდეზეა დამოკიდებული, რაც პატარაა მდინარე, მით პატარა ზომის ტივტივას ვამზადებთ.

დაკვირვებისათვის სწორხაზოვანი მონაკვეთი უნდა შევარჩიოთ. მიხვეულ-მოხვეულ კალაპოტში სიჩქა-

რის გაზომვა არ შეიძლება, არც ლოდები და ჭორომიანი ადგილი უნდა იყოს.

შერჩეულ ადგილზე მოვნიშნავთ სამ გარდიგარდმო კვეთს № 1, 2, 3. (იხილე სქემა). კვეთების ადგილზე გადავჭიმავთ ბაწარს ან ჩავარჭობთ ჯოხებს მდინარის გაყოლებით, კვეთებს შორის მოვზომავთ მანძილებს.

პირველ კვეთზე ჩავაგდებთ ტივტივას და ვუთვალთვალებთ მის მოძრაობას. როდესაც მეორე კვეთს გაუსწორდება, ჩავრთავთ წამმზომს, მესამე კვეთთან მისვლისას წამმზომს გამოვრთავთ, ავითვლით დროს, რაც ტივტივამ მეორე და მესამე კვეთებს შორის მანძილის გავლას მოანდომა. რადგანაც მდინარის სიგანეზე სხვადასხვა სიჩქარეებია, ერთი ნაპირიდან მეორემდე თანმიმდევრობით ჩავუშვებთ რამდენიმე ტივტივას, თითოეულისათვის გამოვთვლით კვეთებს შორის გავლის დროს და დავადგენთ მათ შორის საშუალო არითმეტიკულს.

თუ კვეთებს შორის მანძილი და ტივტივათა გავლის დრო ცნობილია, იოლად დავადგენთ მდინარის სიჩქარეს, რომელიც მიიღება მანძილის დროზე გაყოფით.

მაგალითად: 2 და 3 კვეთებს შორის მანძილი 10 მეტრია და № 1 ტივტივამ მონაკვეთი 8 წამში გაიარა.

№ 2 —„— —„— 9 „ „
№ 3 —„— —„— 7 „ „
№ 4 —„— —„— 10 „ „
№ 5 —„— —„— 6 „ „

ჯამი — 40 წამი.

საშუალო — 8 წამი.

მაშინ მდინარის საშუალო სიჩქარე

$$V_{\text{საშ.}} = \frac{e}{t} = \frac{10}{8} = 1.25 \text{ წ.}$$

ამინდის ნიშნები

ფრანკფურტელმა (გერ) მეტეოროლოგებმა გადაწყვიტეს შეემოწმებინათ ამინდის გამოცნობის ყველა ხალხური ნიშანი, ათი წლის დაკვირვების შემდეგ ისინი ასეთ დასკვნამდე მივიდნენ: სხვადასხვა ნიშნით ამინდის წინასწარმეტყველება 58 პროცენტით მართლდება, ბარომეტრის, თერმომეტრისა და ჰიგრომეტრის (ჰაერის ტენიანობის გასაზომი ხელსაწყო) საშუალებით უფრო ზუსტი პროგნოზის მიგნებაც შეიძლება.

მაგრამ ყველა ზემოთქმული მხოლოდ უახლოესი დღეების ამინდის წინასწარმეტყველებას შეეხება, გაცილებით ხანგრძლივი დროის პროგნოზებს კი (მაგალითად, თუ ზამთარი მკაცრია, ზაფხული ცხელი იქნებაო, აგრეთვე, თუ ზამთრის დამდეგს ცივა, დანარჩენ დროს ნაკლებ ეცივებაო, ან — პირიქით) სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს.

საერთოდ, ფრანკფურტელი სწავლულები ამბობენ, ამინდის გამომცნობის სახელს ადვილად მოიხვეჭო. მათი აზრით, ამისათვის საკმარისია ყოველთვის ამტკიცო: ხვალ ისეთივე ამინდი იქნება, როგორიც დღეს არისო. ასეთი პროგნოზი თითქმის 75 პროცენტით მართლდება. კაცმა რომ თქვას, ამგვარი სიზუსტე ურიგო არ გახლავთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეტეოროლოგიური სადგურის პროგნოზების 85 პროცენტია უტყუარი.

პარფიუმერია და ღრუტუნები

ხშირად დიდ საღორეებში გაშმაგებული ჩხუბი იმართება ხოლმე ცხოველებს შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარის სიგანის გაზომვა

მდინარის სიგანე დანაყოფებიანი ბაფთით ან ჩვეულებრივი ბაწრით იზომება. პატარა ნაკადი სწორი ჯოხითაც შეგვიძლია მოვზომოთ.

თუ მდინარე განიერია, წყალი ცივია, ან ჩქარა მოედინება და ფონით გასვლა შეუძლებელია, მაშინ მდინარის სიგანეს შემდეგნაირად გავ-

ზომავთ: ბაწარს ერთ ბოლოში მოვაბამთ ქვას და ვისვრით მეორე მხარეს. ამის შემდეგ ბაწარს ისე მოვწევთ, რომ მობმული ქვა მდინარის ნაპირს გაუსწორდეს, მეორე ბოლოთი კი სიგანეს მოვზომავთ.

თუ ბაწარი არა გვაქვს და მდინარეში შესვლაც შეუძლებელია, შეგვიძლია გამოვიყენოთ გეომეტრიული ხერხი, რომელიც სამკუთხედების ტოლობაზეა აგებული.

მდინარის იქითა ნაპირზე A წერტილში მოვნიშნავთ რაღაც უძრავ საგანს (ქვა, ჯოხი, ბუჩქი და სხვა). მის მოპირდაპირედ (ჩვენსკენ) B წერტილში ჩავარჭობთ ჯოხს. B წერტილიდან ნებმისმიერი მიმართულებით (ჩვენს მაგალითზე მარჯვენა მხარეს) გადავზომავთ ნებისმიერი მანძილით დაშორებულ ორ ტოლ მონაკვეთს BC და CD-ს და იქაც ჩავარჭობთ ჯოხებს.

CD სწორზე, D წერტილიდან გავხაზავთ DO მართობს მანამდე, სანამ იგი არ გადაკვეთავს A საგანზე და C ჯოხზე გატარებულ სწორ ხაზს, რომელსაც თვალით დავაზუსტებთ O წერტილიდან. თუ აქაც ჯოხს ჩავარჭობთ, მივიღებთ ორ მართკუთხა სამკუთხედს.

ეს სამკუთხედები ტოლია, როგორც პარალელურგვერდებიანი სამკუთხედები. აქედან გამომდინარე, DO AB; DO გვერდის მანძილს გავზომავთ და მივიღებთ მდინარის სიგანეს.

წყაროს ტემპერატურის გაზომვა

წყაროს ტემპერატურის გასაზომად გამოიყენებულია ისეთივე თერმომეტრი, როგორსაც მდინარის ტემპერატურის გასაზომად ვხმარობთ, ოღონდ — აქ დაკვირვება ცოტა განსხვავებულია: თერმომეტრის სინდიყიანი ბოლო წყაროს გამოსავალთან ახლოს უნდა მივუშვიროთ, ისე, რომ წყალი თავისუფლად ჩადიოდეს თერმომეტრის ჩარჩოს ჯამში, სადაც მოთავსებულია სინდიყიანი ბოლო. 5-6 წუთის შემდეგ უნდა ავიღოთ ანათვალი.

თუ წყაროს წყალი დიდ ნაკადად ამოდის სიღრმიდან, მაშინ ისე მოვიქცევით, როგორც მდინარის ტემპერატურის გაზომვის დროს.

ვლ. ფოთოლაშვილი

ორმოცი წლის პრაქტიკის მანძილზე ბიუვის თავისი პაციენტებისათვის ერთხელაც არ მიუცია ტკივილის დამაუჩებელი წამალი, როცა მათ კბილს აძრობდა. საკმარისია რამდენიმე ალერსიანი სიტყვა, რომ ცხენი სრულიად მშვიდად იდგეს კბილის ამოღებისას.

— ვცადე ადამიანებისათვის მემკურნალა კბილები, — ამბობს ექიმი ბიუვი, — მაგრამ ერთი თვის მერე თავი გავანებე ამ საქმეს: მე უფრო მეტს ვნერვულობდი, ვიდრე პაციენტი.

ტოკიო დაბლა ეშვება

ტოკიო, მსოფლიოში ყველაზე ხალხმრავალი ქალაქი, ყოველწლიურად დაბლა იწევს, — ამტკიცებენ იაპონელი მეცნიერები. ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან 50 წლის მანძილზე ამ ქალაქმა დაახლოებით ორი მეტრით დაიწია. შემდგომ ოც წელიწადში ორჯერ უფრო ჩქარა ჩაიწია მიწაში. ტოკიოს ზოგიერთი ხიდი უკვე ხელს უშლის მათ ქვეშ გემების მიმოსვლას.

პლასტმასის ფანჯარი

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გამოიგონეს პლასტმასის ფანჯარი. იგი ისევე ითლება, როგორც ხისა. სპეციალისტების გამოანგარიშებით, ამ გამოგონების დანერგვა პოლონეთს ყოველწლიურად 15 ჰექტარზე მეტ ტყეს შეუნარჩუნებს.

ისინი გემოვნებაზე არ დავობენ

ნაირობიელმა ექიმმა ჯეფრი ნობიმ მრავალი წლის დაკვირვების საფუძველზე დაადგინა, რომ მაიმუნებსაც აინტერესებთ სა-



ტელევიზიო გადაცემები. ისინი სიამოვნებით უყურებენ ამ გადაცემებს და თანაც მთელი არსებით გამოხატავენ თავიანთ აღფრთოვანებას — ტაშს უკრავენ, დახტიან, ყვირიან. ოღონდ ეს არის, რომ ყოველ მაიმუნს საკუთარი გემოვნება აქვს. მაგალითად, შიმპანზესა და ორანგუტანგს ყველაზე მეტად სპორტი აინტერესებთ, განსაკუთრებით — კრივი. გორილა უფრო დარბაისელია, მას დეტექტური ფილმები და ესტრადა იტაცებს.

საოცარი ნიჭის გავშვი

შვიდი წლის ბელგიელ გოგონას მიშელ ლემარშანს განსაცვიფრებელი მათემატიკური ნიჭი აქვს. იგი ძალზე სწრაფად და უშეცდომოდ ახდენს საკმაოდ რთულ არითმეტიკულ, ალგებრულ და ტრიგონომეტრიულ გაანგარიშებებს. მიშელი დიდი ოსტატია, კერძოდ, რვანიშნიანი რიცხვის კვადრატული ფესვის ამოღებისა. 23 184 224-ის კვადრატული ფესვი მან 18 წამში ამოიღო.

რატომ იბანს კატა პირს?

ვინ არ იცის, რომ კატა ყოველდღე „იბანს“ პირს. მაგრამ ბევრმა როდი იცის, რომ ეს ცხოველი მხოლოდ სისუფთავის სიყვარულით არ სჩადის ამას. საქმე ის არის, რომ ბეწვიდან ალოკვილი ვიტამინი B აუცილებელია მისი ფსიქიკური წონასწორობის შესანარჩუნებლად. თუ კატას ამის საშუალებას მოვუსპობთ, იგი ბრაზიანი გახდება და შეიძლება კიდეც მოკვდეს.



მაგალითი ცხენისაგან აიღეთ

ფინელი ვეტერინარ-სტომატოლოგის — კორკი ბიუვის აზრით, ცხენს უფრო ადვილად უმკურნალებს კაცი, ვიდრე ადამიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო ამბავი

ადამიანი წყალქვეშ

იაპონიის ქალაქ ტოსასამიდაუს მახლობლად, ზღვის ფსკერზე, 20 მეტრის სიღრმეზე, შენდება მსოფლიოში პირველი წყალქვეშა პარკი. მნახველებს შეუძლიათ მინის თაღებქვეშ გაშენებულ ხეივნებში დატკბნენ ზღვის ფლორისა და ფაუნის ცქერით. მართლაც ზღაპრული სანახავი იქნება ფერადი ილუმინაციებით აელვარებული ზღვისქვეშა წალკოტი, რომლის ფართობი 30 ჰექტარს დაიკავებს.

ეს ამბავი ახლა აღარავის უკვირს, რადგან დღეს ადამიანი ჩვენი პლანეტის ყველა ძნელად მისაღწევ ადგილს იპყრობს. წარმატებით ითვისებს კოსმოსს, მთვარეზე დააბიჯებს...

გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა — ფანტასტიკოსმა ჟულ ვერნმა თავისი ერთ-ერთი რომანის გმირს კაპიტან ნემოს ასეთი რამ ათქმევინა: „დედამიწაზე სიცოცხლე ზღვიდან წარმოიშვა და, ვინ იცის, იქნებ ზღვაშივე ჰპოვოს დასასრული“.

ფანტასტიკური რომანი „80 ათასი კილომეტრი წყალქვეშ“ ასი წლის წინათ დაიწერა. მაშინ ჟულ ვერნის შეხედულებები და იდეები მის თანამედროვეებს მარტო ფანტასტიკური კი არ ეჩვენებოდათ, არამედ სიგიჟედაც მიაჩნდათ: „ადამიანი წყლის ქვეშ? ადამიანმა თევზივით იცხოვროს? — ღმერთმა დაიფაროს!“

მაგრამ წყალქვეშ ცხოვრებაზე მაინც მრავალი ოცნებობდა — მეზღაპრეები, ფანტასტიკოსები, მყვინთავები, ჰიდროლოგები. ისინი სხვადასხვანაირად ოცნებობდნენ — სერიოზულად და ხუმრობით, ღრმად და ზერელედ.

გახსოვთ ზღვათა სამყაროს მბრძანებელი ნეპტუნი და წყლის კაცი, ალი და სირინოზი? გახსოვთ ეს უსასრულოდ ნაირგვარი, ადამიანს მიმსგავსებული თევზები, მედუზები, რვაფეხები, ზღაპრული არსებები? ძთელი მათი ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება წყალში მიმდინარეობდა — ტბების, მდინარეების, ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე.

სადმე რომ იცხოვრო, უნდა გქონდეს საცხოვრებელი ადგილი, ეგრეთ წოდებული „კვადრატული მეტრები“. ასე რომ, ზღაპრულ არსებებსაც, პირველ ყოვლისა, საინჟინრო-სამშენებლო საკითხების გადაწყვეტა — წყალქვეშა სასახლეების დაპროექტება და მშენებლობა უხდებოდათ.

შეუძლია თუ არა ადამიანს წყალქვეშ იცხოვროს? საკითხი საკმაოდ სერიოზულია. სიტყვა „ცხოვრებაში“ წყალში მყვინთავივით ცოტა ხნით ყოფნა კი არ იგულისხმება, არამედ ლაპარაკია წყალქვეშა სახლზე, სოფელზე, ქალაქზე მუდმივ ადგილსამყოფელზე.

ა. ბელიაევის „კაცი-ამფიბიას“ იხთიანდრს იშვიათად ეძინა ზღვაში. მაშ სად ათევდა ღამეს? მას სახლი ჰქონდა და მწერალმა თევზკაცს იგი ხმელეთზე მიუჩინა.

ბელიაევს ის ოცნებაღა დარჩენოდა, რასაც თვით ფანტასტიკურ რომანშიც კი ვერ ასხამდა ხორცს. „წყალქვეშა სახლები რკინისაგან უნდა აიგოს და ისინი ისე მკვიდრად უნდა იყოს შერწყმული ნიადაგთან, რომ ვერავითარმა ტაიფუნმა ვერ დაანგრიოს. სასმელი წყალი შეიძლება მდინარეებიდან გავიყვანოთ, ან თვით ზღვის წყალი გავამტკნაროთ. გათბობა ელექტროენერგიით აჯობებს“. — წერდა ა. ბელიაევი.

ესე იგი, ადამიანის დასახლება ზღვაში ძნელია! მაგრამ იქნებ შესაძლებელია?!

მეჩვიდმეტე საუკუნეში ჯონ უილკინსი ოცნებობდა წყალქვეშა სახლზე.

მეცხრამეტე საუკუნეში ჯონ ლეიკმა გამოიგონა წყალქვეშა ბორბლებიანი ყველგანმავალი, რომელსაც გასახსნელი რაბები ექნებოდა. ჩვენი საუკუნის ოციან წლებში ინგლისელ დევისმა „დასასვენებელი სახლი“ ააშენა მყვინთავებისათვის.

ეს მხოლოდ გაბედული იდეები და პირველი გაუბედავი პრაქტიკული ნაბიჯები იყო.

წყალქვეშ დასახლების პრობლემა მთავარ საკითხად გადაიქცა აკვალანგის გამომგონებლის კაპიტან ჟაკ-ივ კუსტოსათვის. მისი ჩანაფიქრი ნაკლებ გრანდიოზული როდი იყო, ვიდრე ცდები და ექსპერიმენტები. ერთხელ კუსტომ თქვა: „ადრე თუ გვიან კაცობრიობა დასახლდება ზღვის ფსკერზე, ოკეანეებში, გაჩნდებიან ქალაქები, საავადმყოფოები, თეატრები, უკვე ნახევარი საუკუნის შემდეგ ჩამოყალიბდებიან ახალი წყალქვეშა ადამიანები, რომლებიც ერთნაირად კარგად იგრძნობენ თავს დედამიწაზე და წყალქვეშ“.

1962 წლის სექტემბერში პირველმა ოკეანონავტმა რობერტ სტენიუიმ ექვსი დღის განმავლობაში იცხოვრა წყალქვეშა სახლში.

ამავე წელს ჟაკ-ივ კუსტომ დაიწყო თავისი ექსპერიმენტები. ჯერ იყო „კონშელფ-I“ და „დიოგენი“, რომლებშიც ორმა ოკეანონავტმა ორი კვირის განმავლობაში იცხოვრა; ერთი წლის შემდეგ კი გაჩნდა „კონშელფ-II“, რომელშიც შვიდმა კაცმა სამი კვირა დაჰყო. შემდეგ კი, თითქოს ზვავი მოვარდაო, წყალქვეშეთს ამერიკელებმაც მიაშურეს, ინგლისელებმაც, კუბელებმაც, ჩეხებმაც, რუსებმაც...

იქნებ ადრეც იყო ცდები წყალქვეშეთში დასახლებისა?

ისტორიამ ძუნწად, მაგრამ მაინც შემოგვინახა ცნობები წყალქვეშა სასახლეების მშენებლობაზე.

მოვიგონოთ:

მოქმედების დრო — მეთორმეტე საუკუნის დასაწყისი, მოქმედების ადგილი — ინდოეთი.

მდინარეების — ნარბადისა და მაჰანადის ჩრდილოეთით გადაჭიმულია ვინდხიას ქედი. ჩრდილოეთიდან მას ერწყმის მალვას ტაფობი, აქვეა ტბა სისპლრა.

შუა საუკუნეებში მთელი ეს რაიონი — არაბეთის ზღვიდან ჰიმალაიმდე — მალვის სახელმწიფოში შედიოდა. იგი ჰილიგიის სულთანის სამფლობელოდ ითვლებოდა, მისი დედაქალაქი მანდხუ განთქმული იყო სიმდიდრით, ფუფუნებით და, როგორც მისი თანამედროვენი გვაუწყებენ, დიდი ფართობი ეჭირა.

მეთერთმეტე საუკუნის დასაწყის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მალვა ინდოეთის უძლიერესი სულთანატი იყო. სიმდიდრით, ხალხმრავლობით და დიდი კულტურით განთქმული გახლდათ მისი ერთ-ერთი ქალაქი უჯეინი (ამჟამად უჯაინი), რომელიც სისპლრის ტბის ნაპირას იყო გაშენებული.

მალვის სულთანი ხშირად ჩამოდიოდა უჯეინში და საათობით იდგა ჩაფიქრებული ტბის ნაპირას.

თანმხლებთ უკვირდათ: ნეტა რა აწუხებს ხელმწიფეს?

სულთანი კი არაჩვეულებრივ, გრანდიოზულ გეგმას ადგენდა. წყალქვეშა სასახლე — აი, რაზე ფიქრობდა იგი.

აურაცხელი სიმდიდრე, განუსაზღვრელი უფლებები, ძალა — მეტი რაღა უნდოდა ახირებული ჩანაფიქრის განხორციელებას?

და ჰილიგიის სულთანმა განახორციელა თავისი ოცნება — ააშენა საარაკო სილამაზის წყალქვეშა სასახლე, ისეთი, როგორიც დიდებულ სულთანს შეეფერებოდა.

არ ვიცით, რამდენი დრო დასჭირდა სასახლის სრულყოფას, არავის აღურიცხავს წყალქვეშა სამუშაოებზე დაღუპულ ადამიანთა რაოდენობა, ისტორია დუმს ამგვარ წვრილმანებზე.

უბრალო მოკვდავნი ვერ ხედავდნენ ამ ნაგებობას — მას ტბის წყალი ფარავდა. მაგრამ ვინც წყალქვეშა დარბაზებში მოხვდებოდა, ზღაპრული სანახაობის მხილველი ხდებოდა.

ზოგიერთ დარბაზს გამჭვირვალე ჭერი ჰქონდა (ალბათ შუშისა), ზემოთ წყალმცენარეები ირხეოდნენ, უამრავი თევზი აწყდებოდა გიგანტური აკვარიუმის კედლებს. ეს თანამედროვე ოკეანარიუმის წინამორბედი გახლდათ.

ზოგიერთი დარბაზის ჭერს ნახვრეტები ჰქონდა დატანებული. ტბის წყალი ზემოდან ეშვებოდა და იატაკის რეზერვუარებში იკარგებოდა. მომაჯადოებელი სანახავი იყო წყალქვეშა ჩანჩქერები. მშენებლობის ისტორიამ არ იცის მსგავსი რამ.

მაგრამ ქვეყნიერების მერვე საოცრებამ ვერ გაუძლო დროთა დინებას. იგი განადგურდა სულთანატის დაცემის შემდეგ. ტბის ფსკერზე ამ საოცარი წყალქვეშა სასახლის ნანგრევები კი დღემდე შემორჩა.

ფანჯრის მინების გაწმენდა გარედან ძნელია (მით უმეტეს, თუ ფანჯარა ზედა სართულზეა). ეს საქმე გაცილებით გაგიადვილდება, თუ აქ გამოსახულ უბრალო ხელსაწყოს გააკეთებ. აიღე ორი ჯოხი, ბოლოებით ერთმანეთთან მიამაგრე და სახსარი ქანჩით დამაგრე. ჯოხის თავში ლითონის ფირფიტა მიამაგრე, ფირფიტაზე კი რეზინის ღრუბელი დააწებე. ფანჯრის წმენდისას ზედ შეიძლება ქაღალდი ან ჩვარი გადააკრა.

* * *

სახრახნისს პირზე დაახლოებით სამი სანტიმეტრი სიგრძის რეზინის მილი ჩამოაცვი და ხრახნს მეორე ხელის დაუხმარებლად ამოხრახნი.

* * *

ბურთულიანი საწერკალმის პლასტმასის ღერძულა ბენზინით კარგად გამორეცხე, საზეთეს თავზე ჩამოაცვი და ძნელად მისადგომ დეტალებს დასაზეთად იოლად მიუდგები.

* * *

სამზარეულო დანა თუ გინდა კარგად გაილესოს, წინდაწინ ოცდაათი წუთის განმავლობაში მარილხსნარში გააჩერე. თუ დანას წინდაწინ გაათბობ, პური დაუფხვნელად დაიჭრება.

* * *

ლექსიკონები, საცნობარო ხასიათისა, და ყოველდღიურად სახმარი სხვა წიგნები მაგიდაზე ხელს გიშლის ხოლმე. გააკეთე დიურალის პატარა ჩარჩო, მიამაგრე მაგიდასთან კედელზე და საჭირო წიგნს ყოველთვის იოლად მოძებნი.

ივნისი

წლის მეექვსე თვის სახელწოდება — ივნისი ჩვენშიც და სხვაგანაც რომიდან შემოვიდა. ადრე საქართველოში მას თიბათვე ეწოდებოდა. ძველ რუსეთში ივნისს — „იზიკი“ ერქვა. ეს ძველი რუსული სიტყვაა და „კალიას“ ნიშნავს. ივნისი რომაული ღვთაების სახელწოდებასთან არის დაკავშირებული. იუნონა იუპიტერის მეუღლედ ითვლებოდა და სიბრძნისა და ცოლ-ქმრული ერთგულების განსახიერება გახლდათ. ივნისში იწყებოდა მკა და იუნონას ტაძრის ფიჭვებთან შესაწირავი მიჰქონდათ. საინტერესოა, რომ ივნისში კიდევ ერთი ღვთაების — მერკურის დღესასწაულიც იმართებოდა, მერკური ვაჭრობის მფარველად ითვლებოდა, მაგრამ მის გამოსახულებას პირდაპირი კავშირი ჰქონდა სოფლის მეურნეობასთან. ერთი ხელი მზის საათისკენ ჰქონდა გაშვერილი (ამით, ეტყობა, იმას გვანიშნებდა, ივნისში დღის კლება იწყებაო), მეორე ხელით ანთებული ჩირაღდანი ეჭირა (ეს ჩირაღდანი, როგორც ჩანს, ზაფხულის სიცხის სიმბოლო იყო); ქანდაკებას უკან ნამგალი ედგა, ფერხთით — ხილით სავსე კალათა.

ივნისი ზაფხულის პირველი თვეა. 22 ივნისს ზაფხულის ბუნიობ ი ს დღეა. 22 ივნისს დედამიწაზე ჩრდილო ნახევარსფეროში ყველაზე ხანგრძლივი დღეა, შემდეგ კი დღე განუხრელად კლებულობს.

ივნისი უკვე საკმაოდ ცხელი თვეა, განსაკუთრებით დაცხება ხოლმე საქართველოში. ეს დედამიწის ზედაპირთან ახლოს მდებარე ჰაერის ფენების გახურების შედეგია.

თბილისში ამ თვის საშუალო თვიური ტემპერატურა პლუს 21 გრადუსია. ყველაზე დიდი სიცხე აღნიშნული იყო 1892 წელს — პლუს 36 გრადუსი, ყველაზე ცივი ამინდი იყო 1934 წელს პლუს — 7.

მოსკოვის რაიონში ივნისში საშუალო თვიური ტემპერატურა პლუს 15,4 გრადუსია. 1912 წელს აქ ყველაზე მაღალი ტემპერატურა აღინიშნა — პლუს 32 გრადუსი. 1916 წლის ერთ დღეს კი ორი გრადუსი ყინვა იყო. 1914, 1930, 1947 წლებში ივნისში მოსკოვში მოთოვდა.

აშხაბადში ივნისის საშუალო თვიური ტემპერატურა პლუს 27,9 გრადუსია, მაქსიმალური — პლუს 43 გრადუსი (1902 წ.), მინიმალური — პლუს 8 გრადუსი (1931 წ.).

სარჩევი

დიდი ზეიმი 1
ტაბატაძე ა. — ფრესკა (მოთხრობა, დასასრული) 2
ჭიჭინაძე გ. — ახალი ლექსები 8
ძნელაძე ვ. — გმირები (ლექსი) 9
აბულაშვილი ა. — ისევ მობრძანდა ზაფხული (ლექსები) 9
მოსწავლეთა შემოქმედება . . 10
ბაწელაშვილი ზ. — ხუთი თითი (მოთხრობა) 20
კასკადერი — 26
ფოთოლაშვილი ვლ. — ჰიდროლოგიური დაკვირვებანი (წერილი) 28
ჯადოსნური სარკე 28
საინტერესო თემაზე 30
გამოგადგები 31
ივნისი 32
ვ. სტრაშნოვი — სათამაშო მოედანი (წერილი). . . . . გარეკანის 3
ლაღიძე ნ. გამოცანა — . . . . გარეკანის 3.

გარეკანის პირველ გვერდზე „თევზაობა“. მხატვარი რევაზ ცუცქირიძე.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 17/IV-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/V-72 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19. შეკვ. № 1420. ტირ. 132.900. უე 01877.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო

ეზოდღესაწი

ბავშვებო, ზაფხულის თვეებში გინდათ კარგად გაერთოთ? მაშ მოგვისმინეთ: თუ თქვენს ეზოში თავისუფალი ადგილია, იგი შეგიძლიათ სათამაშო მოედნად გადააქციოთ, ამისთვის საკმარისია მორები, ფიცრები, ლარტყები, ფანერი და თუნუქი იშოვნოთ.

აქ გამოსახული მოედანი თავისუფლად მოთავსდება 25-30 მეტრი სიგრძისა და 15-20 მეტრი სიგანის ფართობზე. მოედანი 4 ელემენტისაგან შედგება. ესენია: ბილიარდი, ასაცოცი სვეტები, „წონასწორობის ბილიკი" და მოძრავი დოლი.

ბილიარდი კარგად დატკეპნილ, ქვიშამოყრილ მიწაზე უნდა იდგეს. რაც უფრო სწორად იდგომება ბილიარდი, მით უფრო ზუსტად სტყორცნით ბურთულებს ბუდეში.





კიდეები და ბუდეები ფიცრისა უნდა იყოს. ბილიარდის გვერდით ხის ყუთები დადგით ბურთულების ჩასაყრელად; აქვე მოთავსდება ტაბლოც, რომელზეც ცარცით ქულებს დაწერთ. ტაბლოს პირველი და მეორე ნახევრები სხვადასხვა ფერით შეღებეთ, ასევე — ყუთებიც.

ამ ბილიარდის თამაში სპეციალური კიით სჯობს: ჯოხის წვერს პერპენდიკულარულად მიაჭედეთ 15 სმ სიგრძისა და 12 სმ სიგანის ფანერის ოთხკუთხედი.

ასაცოცებელი სვეტების სიმაღლე 3,5 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს, მათ შორის მანძილი კი — 70 სანტიმეტრს. სვეტები თავთან კადონით ერთდება, რომელზეც ზარს ჩამოჰკიდებთ. ეს ზარი ხელით უნდა ჩამოხსნათ.

„წონასწორობის ბილიკი", მოყვანილობით მცოცავ ნიანგს რომ მოგვაგონებს, პატარებისთვის არის განკუთვნილი. მათ თავიდან კუდამდე ისე უნდა გაიარონ, რომ მიწაზე ფეხი ერთხელაც არ ჩამოუცდეთ. „ნიანგი" ხის ერთნაირი ძელაკებისაგან არის შემდგარი, მხოლოდ თავსა და კუდს აქვს თავისებური ფორმა.

რა არის მოძრავი დოლი? იგი ველოსიპედის ორი ძველი თვალია, რომლებიც ხის ღერძით არის შეერთებული. თვლებს შორის მანძილი 60 სმ უდრის.

იმისათვის, რომ მოედანზე თამაშობისას არავინ არაფერი იტკინოს, „ნიანგის" და ასაცოცებელი სვეტების გარშემო ქვა თუ სხვა რამ საგანი არ უნდა ეგდოს. შეგიძლიათ ამ ადგილას ბალახი ააბიბინოთ ან ქვიშა დაჰყაროთ.

ვ. სტრაშნოვი,
ჟურნალ „იუნი ტექნიკიდან".

ბამოცანა

ბარად ვეშვები მთიდან,
ზოგჯერ ზამთარი მყინავს;
მაღვიძებს გაზაფხული,
ბროლის საწოლში მძინარს.

ჩამოვუქროლებ ხევხუვს,
ხშირად ხრამშიაც მხედავთ;
მივეჩქარები თოვქვე,
რომ ჩავეხვიო დედას.

ნანუ ლაღიძე.

პასუხი №5-ში მოთავსებულ „ხრაკლიკულზე"

კროსვორდი

თარაზულად, 2. რიონი; 3. კურილია; 5. არა; 7. ომი; 9. ობი; 10 ბახი; 11. ია; 12. კი; 13. ინდი; 15. ილიუშინი; 17. ასტრახანი; 18. ირკუტსკი; 20. ოდი; 22. რუ; 23. სიო; 24. დო; 26. ლიმა; 27. ალი; 28. იამაიკა; 30. ირი; 31. ია რდი;

ვერტიკალურად: 1. რომი; 3. კოქსი; 4. ათენი; 6. ანისი; 8. მურმანსკი; 9. ორბი; 10. ბზიფი; 14. ისკრა; 16. კიო; 19. ასო; 21. იქსი; 22. რომბი; 25. ორერა; 26. ლომი; 29. ავრა.

შარადა

პიონერი

6 63/118

ИНДЕКС 75157

კოსმონავტები მთვარეზე. ნოდარ კობალაძე. თბილისის 65-ე სკოლა. IV კლასი.

ზოოპარკში. ნანა ნადარეიშვილი. თბილისის 65-ე სკოლა, II კლასი.